ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## გია ვოლსკი: „არ გამოვრიცხავ, რომ გივი თარგამაძე გაწირეს“

გვ.3



6 ოქტომბრიდან

ჩემი პირველი სიტყვები

ჩემი დღე

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი, 2016 №237 (7163) ფასი: 50 თეთრი

# მიხეილ სააკაშვილი: „3 დღეში გადმოვცურავ ზღვას“





„ჩვენ უნდა გავუშვათ ივანიშვილი“

ნაციონალების აქციას ცოცხგამობმულმა დრონმა გადაუფრინა



## მამუკა არეშიძე: „გივი თარგამაძეზე თავდასხმამ ნაციონალების წისქვილზე დაასხა წყალი“

გვ.4



## „ნაციონალები კიდევ ბევრ აფეთქებას მოაწყობენ“

ტრისტან წითელაშვილი: „ბათუმში მაიდნის სნაიპერები ჩამოვიდნენ“

გვ.5

## „ამ აფეთქების უკან სააკაშვილი და რუსეთი დგანან“

გვ.3



## ზვიად კუპრავა: „თარგამაძის აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ივანიშვილს ეკისრება“

გვ.5





## გიგა ბუკია: „ეს აფეთქება დიდი გეგმის ნაწილია“

გვ.5



## ირაკლი სესიაშვილი: „ნაციონალური მოძრაობის მიზანი დესტაბილიზაციაა“

გვ.3

## კახაბერ კორძაია: „ხელისუფლებაში ისეთი პროფესიონალები უნდა მოვიდნენ, ვისაც უკეთესი მომავლის შექმნა შეუძლიათ!“

გვ.6



ISSN 1987-9385

# მიხეილ სააკაშვილი: „3 დღეში გადმოვცურავ ზღვას“

## „ჩვენ უნდა გავუშვათ ივანიშვილი“




## ნაციონალების აქციას ცოცხგამობმულმა დრონმა გადაუფრინა



**შორენა მარსაგიშვილი**

ნაციონალებმა დანაპირები შეასრულეს და გუშინ, 5 ოქტომბერს, ხალხმრავალი აქცია მოაწყვეს. მართალია, მთლად 100.000 კაცი არ იყო გამოსული, როგორც ამას გიგი წერეთელი ამტკიცებს, მაგრამ მაინც მრავლად იყვნენ.

აქციის კულმინაცია მიხეილ სააკაშვილის ჩართვა იყო. მან განაცხადა, რომ რუსთაველზე შეკრებილ ხალხთან ზღვა აშორებდა მხოლოდ. ამ ზღვის გადმოცურვას კი ის 3 დღეში აპირებს.

მან ყველა პროფესიის და კუთხის წარმომადგენელს მიმართა. ყველა რეგიონის განვითარების პირობა დადო და განაცხადა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისინი სამსახურებიდან არავის გაუშვებენ.

ზღვის გაღმა ნაპირზე მყოფი სააკაშვილი პირობას დებს, რომ მხოლოდ ერთი ადამიანის გაშვება მოხდება.

**მიხეილ სააკაშვილი:**

– ჩვენ უნდა გავუშვათ ერთი ადამიანი, ეს ადამიანი არის ივანიშვილი. მას თავი უნდა დავანებოთ და მანაც თავი უნდა დაგვანებოს. ხალხს უნდა ახალი ენერგია, გამარჯვების შემდეგ უნდა ჩამოვაყალიბოთ ახალი მთავრობა. ზუსტად სამ დღეში სამუდამოდ დასრულდება ერთი ახირებული რუსი ოლიგარქის ექსპერიმენტი, რომელმაც გადაწყვიტა ჩვენი დაპირისპირება.

3 დღეში შეჩერდება 9 თვის ბავშვის მკვლელობით და ცოცხებით მოსული ხელისუფლების მიერ გამოწვეული დაპაუზებული პოლიტიკა. სამ დღეში საქართველოში განახლდება აღმშენებლობა და წინსვლა. ჩვენ დავიწყებთ ფეხზე ადგომას და შემდეგ სწრაფი ტემპით ავანაზღაურებთ დანაკარგს. ვინც არ გაიყიდეთ, ვინც არ წახვედით კომპრომისებზე, თქვენ უნდა გაიყვანოთ, ჩვენ უნდა გავიყვანოთ ჩვენი ქვეყანა სამშვიდობოზე, – განაცხადა ბ-მა სააკაშვილმა.

მართალია, სააკაშვილი საქართველოში შემოსვლას 3 დღეში აპირებს, მაგრამ სანდრა რულოვსი ზღვის გაღმა მყოფ მეუღლეს ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ ელოდება.

– მიხეილ სააკაშვილი დაბრუნდება ქართული მიწაზე არა რევოლუციური სცენარით, არამედ ახალი მთავრობის პირობებში, როდესაც სასამართლო გათავისუფლდება პოლიტიკური ზეწოლისგან, – აღნიშნა რულოვსმა.



მისი თქმით, „ქართულ ოცნებას“ ქვეყნის მართვა არ შეუძლია და დადგა დრო, ის არჩევნების გზით წავიდეს ხელისუფლებიდან.

**სანდრა რულოვსი:**

– ყველასთვის ნათელია, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. 4 წელი საკმარისი იყო მათი მმართველობის, არ შეუძლიათ, ვერ მიხედეს ქვეყანას. ქვეყანა განიცდის უკუსვლას და არნახულ გაჭირვებას. რა არ ვნახე ამ თვეებში ჩემს ზუგდიდის რაიონში და მთელ საქართველოში – პენსიის და სოციალური დახმარების მოლოდინი რომ აქვს მთელ ოჯახს ვალების გასასტუმრებლად და წამლების შესაძენად. გაზი, წყალი, გზა არ აქვთ ხალხს. რატომ? – ბიუჯეტი ცარიელი დახვდათ და არ შეეძლოთ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, თუ მათი პრიორიტეტი იყო პრემიების და დანამატების გამოწერა?!

ამან თქვა, რომ ქვეყნის მართვას უნდა გული და არა – ფული.

– მაცივარში დევს ამდენი პროექტი, რომელსაც ვადა გასდის 9 ოქტომბერს. ამოვიღოთ 8 ოქტომბერს და ავამოქმედოთ, შევქმნათ ათი ათასობით სამუშაო ადგილი, ავაშენოთ გზები, ლაზიკის პორტი და სხვა, – დასძინა ქ-მა რულოვსმა.

ბიძინა ივანიშვილის გაშვების პირობას დებს ნაციონალების საარჩევნო შტაბის უფროსი ნიკა მელიაც.



**ნიკა მელია:**

– ჩვენი ვითომ კეთილმოსურნეები გვირჩევდნენ, რომ ეს აქცია არ ჩაგვეტარებინა ამ ვეებერთელა ვარდების მოედანზე, გვეუბნებოდნენ, რომ ვერ შეავსებთ, ვერ გადაავსებთ და ივანიშვილი მერე დაგცინებთო. მაგრამ ხედავთ, რამდენი ათასი ანთებული, თვალი, გული და სულია აქ.

ბიძინა ივანიშვილო – რამდენი ხელიც არ უნდა მოგვიქნიო, რამდენი ხელიც არ უნდა დაგვარტყა, რამდენჯერაც არ უნდა დაგვაგდო, რამდენჯერაც არ უნდა გვაფორთხიალო, რამდენიც არ უნდა დაგვიჭირო, რამდენიც არ უნდა გვესროლო, რამდენიც არ უნდა აგვაფეთქო, მაინც მოგიგებთ არჩევნებს 8 ოქტომბერს, დილის 08:00 საათიდან, საღამოს 20:00 საათამდე.

აქციაზე სიტყვით გამოვიდა ტერაქტგამოვლილი გივი თარგამაძეც.

მან მხარდამჭერებს თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა, თანაპარტიელებს არჩევნების მოგება, ხელისუფლებას კი პოლიტიკური მოუსავლეთი უწინასწარმეტყველა.

– უდიდეს მწუხარებას გამოვთქვამ იმის გამო, რომ როდესაც ვიღაც არამზადებმა ჩემთან ანგარიშსწორება გადაწყვიტეს, ამის გამო დაზარალდა ჩვეულებრივი ადამიანები. ერთ-ერთი მათგანის სიცოცხლე მართლაც საფრთხეშია და თქვენთან ერთად ვნატრობ, რომ მან შეინარჩუნოს სიცოცხლე, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

მისი თქმით, არსებობდა კიდევ ერთი გივი თარგამაძე, მისი ბაბუა, რომელიც აფეთქების ადგილიდან სულ 100-ოდე მეტრში 27 წლის ასაკში ოკუპანტებმა დახვრიტეს.

– მეორეს ვერ მივართმევ. მე არ გავჩერდები, თქვენ არ გაჩერდებით, საქართველო არ გაჩერდება. საქართველო გაიმარჯვებს და წინ წავა. საქართველოს გამარჯვებას გაუმარჯოს, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

გამარჯვებას წინასწარ ულოცავდა მხარდამჭერებს დავით ბაქრაძე. მისი თქმით, გამარჯვება 8 ოქტომბერს გაფორმდება.

**დავით ბაქრაძე:**

– ამ მოედანზე პოზიტიური მუხტით ვართ ყველა დამუხტული და ეს არის ჩვენი პასუხი იმ კითხვაზე, თუ როგორ ვაპირებთ არჩევნების მოგებას და რას ვაპირებთ არჩევნების შემდეგ. ჩვენ არჩევნების მოგებას ვაპირებთ ასე – სიმშვიდით, ერთად დგომით, პატრიოტიზმით და ასე მივხედავთ ჩვენს ქვეყანას. ეს არის ჩვენი პასუხი ყველა იმ გამოწვევაზე და პრობლემაზე, რომელიც ჩვენ შეგვიქმნეს.




მოსალოდნელ გამარჯვებაზე საუბრის შემდეგ ბაქრაძე გივი თარგამაძეზე განხორციელებულ თავდასხმასაც გამოეხმაურა.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველო წარსულში დაბრუნდა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ამ აფეთქების უკან სააკაშვილი და რუსეთი დგანან“

ნონა ცაბაძე

ვის ინტერესებში შედიოდა გივი თარგამაძის ავტომობილის აფეთქება? ვინ დგას ამ ყველაფრის უკან? ასრულებს თუ არა სააკაშვილი რუსული სპეცსამსახურის დავალებებს? დგას თუ არა ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე? – „ახალ თაობას“ ამ და სხვა თემებზე იურისტი, უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე ესაუბრება.

***– ბატონო შალვა, იმდენი იძახა ხელისუფლებამ მგელი, მგელიო, მგელი მართლა მოვიდა. როგორია თქვენი შეფასებები, ვის ინტერესში შედიოდა ყოველივე ეს? არჩევნებამდე ოთხი დღით ადრე, თბილისის ცენტრში ტერორისტული აქტი განხორციელდა, როგორია თქვენი, როგორც იურისტის შეფასებები?***

– კვალიფიკაცია ჯერ სადავოა. ეს ტერაქტი იყო თუ სხვა რამ, ამას გამოძიება დაადგენს და კვალიფიკაციას მისცემს. ვეთანხმები კვირიკაშვილის საგანგებო განცხადებას, რომ ეს ქმედება მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ. მას არ დაუსახელებია გვარები, მაგრამ მიუთითა, რომ ამის უკან დგას სააკაშვილი.

***– რატომ ფიქრობთ, რომ მაინცდამაინც სააკაშვილი?***

– ამის უკან რომ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა დგას, სხვა პლანეტიდან უნდა იყო ჩამოსული, სხვა აზრი რომ გაგიჩნდეს. კარგით რა ხალხო, ვის სჭირდება ამ ხელისუფლებაში გივი თარგამაძის აფეთქება?!

***– მაშინ რა გამოდის, საკუთარმა თანაგუნდელებმა გაწირეს გივი თარგამაძე თუ ერთად დაგეგმეს ეს სცენარი, ისე, რომ მას არაფერი მოსვლოდა?***

– ეს ცოტა რთული სათქმელია. თუმცა ცხელ კვალზევე, სოციალურ ქსელებში გამოჩნდა კადრები, სადაც გივი თარგამაძე, მომხდარიდან ორიოდე წუთში რუსთავი 2-ს ეძებს, რუსთავი 2 სად არისო? მე მგონია, რომ ეს ყველაფერი იცოდა გივი თარგამაძემ. ის ზოგადად ამ დარგის სპეციალისტია. ჩვენ გვახსოვს განმუხურის ინციდენტი. ზოგადად ნაციონალების ცნობილი ტაქტიკაა ჯიპების აფეთქება. ვისაც კი ვიცნობდი მაგათგან 2003 წლის არჩევნებიდან მოყოლებული, მხოლოდ ეს მესმოდა, ეს ავაფეთქოთ, ის ავაფეთქოთ. ისინი ამის სპეციალისტები არიან! აქ საკითხი ცოტა სხვანაირად დგას...

***– როგორ?***

– რა უნდა სააკაშვილს, ამითი ხომ არჩევნებს ვერ მოიგებს?! რაც არ უნდა ტერაქტები მოაწყონ, ფაქტია, რომ ხალხი მხარს არ უჭერს ნაციონალურ მოძრაობას. თუ ის სისხლიან გზას აირჩევს, ხელისუფლება რომ არ დაუთმობს, ესეც ფაქტია.

***– ამ ყველაფრით ხომ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მოსახლეობა ზარალდება?***

– ზუსტად მანდ მივდივარ! რა არის ამ კაცის მიზანი, რატომ გააქტიურდა? წესით, რაღა უნდა უნდოდეს? პრეზიდენტად იჯდა 9 წელიწადი, მილიარდები იშოვა, დასავლეთში მეგობრები ჰყავს, უკრაინაში გუბერნატორია, იქ კიდევ ფულს აკეთებს, საბაჟოს აკონტროლებს და ასე შემდეგ. მე გაგახსენებთ ჩემს არაერთ ინტერვიუს, თქვენი გაზეთისთვის მიცემულს, იმის თაობაზე, რომ სააკაშვილი გახლავთ რუსეთის აგენტი! მათ მთელი 9 წელი თავისი საქმე აკეთეს. დღეს ვერ ეგუებიან ჩვენი ქვეყნის წინსვლას და სტაბილურობას. საერთოდ ვინმეს ახსოვს ასეთი წინასაარჩევნო გარემო საქართველოს ისტორიაში?! ეს არ შედის რუსეთის ინტერესებში.

***– საით მიანიშნებთ?***

– ამ ყველაფრის უკან დგას რუსეთი და მათი აგენტი სააკაშვილი! მიზანი არის, რომ რამენაირად იმ დონემდე მივიდეს სიტუაცია, რომ გავარდეს ტყვია. ტყვია მარტო თბილისში არ გავარდება. დაუკვირდით, რამდენიმე დღის წინ გორში მოხდა ინციდენტი. ესეც კარგად გამოსაკვლევია, ადრეც გაეხვა ოქრუაშვილი მსგავს სკანდალში.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ოქრუაშვილიც ნაციონალების თამაშს თამაშობს?***

– მე არ ვიცი, ვის თამაშს თამაშობს, მაგრამ მაგათი ნაგლეჯი რომ არის, ფაქტია. ოქრუაშვილი ხელს იშვერს კალაძისკენ, კარგით



რა, რა შუაშია საერთოდ კალაძე! ფაქტია, რომ დესტაბილიზაცია მასაც აწყობს! ყველაფერს გამოძიება იტყვის, არ მინდა, რომ მოვლენებს წინ გავუსწრო. ამნაირები კიდევ ბევრნი იქნებიან სხვადასხვა რაიონებში. ეს რუსეთის გეგმაა!

***– ანუ თქვენ ამტკიცებთ, რომ თარგამაძის ავტომობილის აფეთქების უკან რუსული სპეცსამსახურები დგანან?***

– ამის დამგეგმავი არის სააკაშვილი და ეს გეგმა მას მიაწოდეს რუსეთის სპეცსამსახურებმა! არ არის გამორიცხული, რომ ანალოგიური ინციდენტები კვლავაც განმეორდეს. რუსეთი კარგავს საქართველოს და მას სხვა გზა არ დარჩენია, გარდა იმისა, რომ მოაწყოს აქ დესტაბილიზაციები, სისხლისღვრა, ქვეყნის დაყოფა და ასე შემდეგ.

სუფთა კრიმინალისტიკური მეცნიერებით რომ შევხედოთ გუშინდელ აფეთქებას, წარმოუდგენელია, მანქანაში ყოფილიყო დამონტაჟებული ასაფეთქებელი იმისთვის, რომ დაზიანებულიყო მძღოლი და მის გვერდით მჯდომი არ დაზიანებულიყო. ეს არის წარმოუდგენელი.

***– ანუ ისეთ ადგილას იყო დამონტაჟებული, რომ მანქანაში მსხდომ პირებს არაფერი მოსვლოდათ?***

– ისეთნაირად იყო დამონტაჟებული, რომ მას უნდა გამოეწვია ზუსტად ის ეფექტი, რაც გამოიწვია! გავიხსენოთ სააკაშვილის ჩანაწერები, კარგი იქნება, ვინმე ფეხმძიმე ქალი თუ გარდაიცვლებაო. ფეხმძიმე არა, მაგრამ ოთხი ადამიანი კი არის უმძიმეს მდგომარეობაში! არ არის გამორიცხული, მსგავსი ფაქტები კიდევ მოხდეს. ეს დღეები საკმაოდ დაძაბული იქნება.

შემდეგ ამას მოჰყვება რთული რაიონები მაჟორიტარების. ძალიან ბევრ ადგილზე მეორე ტურები გაიმართება. ყველაზე მეტად საფრთხილოა რამდენიმე რაიონი, არ მინდა ეს წინასწარ გავაჟღერო. ერთ-ერთი მათგანია სამეგრელო, ზუგდიდი.

***– რა არის გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან?***

– მე გამოსავალს მხოლოდ ერთ რამეში ვხედავ, პოლიცია კიდევ უფრო მეტად უნდა გააქტიურდეს!

***– გაუმკლავდება პოლიცია ამ გამოწვევას?***

– რას ჰქვია, გაუმკლავდება?! უნდა გაუმკლავდეს! 80 ათასი თანამშრომელი ჰყავს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამას დაამატეთ უშიშროება, პატრული, ნახევარი საქართველო პოლიციაში მუშაობს! ამხელა პოლიცია საფრანგეთს და გერმანიას არა ჰყავს. ეს კიდევ ცალკე უბედურებაა, სხვა საუბრის თემაა. ამხელა რესურსი გაქვს, აგერ სასჯელაღსრულება გყავს. სწორედაც რომ უნდა გაუმკლავდეს.

***– სასჯელაღსრულება ახსენეთ და საუბარია, რომ იქაც იგეგმება ბუნტი საარჩევნოდ. რა ინფორმაციებს ფლობთ?***

– რამდენიმე დღის წინ გაკეთდა ეს განცხადება, რომ ციხეებში იგეგმება ბუნტი. ბოლო ორი-სამი დღის განმავლობაში მე და ჩემი კომპანიის ადვოკატებმა ფეხდაფეხ შემოვიარეთ ყველა ციხე, ყველა საპყრობილე, ვნახეთ ისეთი პატიმრები, რომლებიც ინფორმირებულები არიან, გავლენიანები და მსგავსი არაფერი იგეგმება, ამას ნუ დაიჯერებთ. ციხეებში სრული სიწყნარეა. აი ციხის გარეთ კი მძიმე დღეები გველის!

პირდაპირ გეუბნებით, თუ ხელისუფლებამ არ მიიღო სათანადო ზომები, არსებობს თანამოაზრეთა ჯგუფი, რომლებიც პასუხისმგებლობას ავიღებთ ჩვენს თავზე და ქვეყანაში დავამყარებთ კონსტიტუციურ წესრიგს! ამას გაეროს კონვენციაც ითვალისწინებს!

# გია ვოლსკი: „არ გამოვრიცხავ, რომ გივი თარგამაძე გაწირეს“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებით დაარტყეს იმ საერთაშორისო განწყობას და ამერიკის ელჩის განცხადებას, რომელიც წინასაარჩევნო გარემოს ხაზგასმით კარგად და სტაბილურად აფასებს.

***– ბატონო გია, როგორ ფიქრობთ, გივი თარგამაძის მანქანის აფეთქება, სადაც თავად იჯდა, ვის აწყობდა? შეიძლება ამ ყველაფერმა წინასაარჩევნო გარემო რეალურად შეცვალოს?***

– მე არაფერს არ გამოვრიცხავ. არც იმას, რომ გივი თარგამაძე გაწირეს. აფეთქებული მანქანიდან კაცი გადმოხტა და პირველი, რაც თქვა, ივანიშვილს აწყობდაო. ის კადრები ხომ არ გაგონდებათ, ხურჩაში ხალხით სავსე ავტობუსს რომ ესროლეს, თითქოს აფხაზებმა ესროლეს, რათა სამეგრელოში ხალხი დარაზმულიყო და არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობისთვის ხმა მიეცათ.



ჟვანიას გარდაცვალების დროს 7 წუთში ვერდიქტი გამოაცხადეს, პრემიერი გაზით გაიგუდაო. ახლა გამოდიან და ყოველგვარი გამოძიების, ფაქტების გარეშე ამბობენ, ბიძინა ივანიშვილს აწყობდაო. როგორ აწყობდა, როდესაც ყველაზე მეტად არის დღეს ივანიშვილი, თავად ხელისუფლება დაინტერესებული, რომ რაც შეიძლება სტაბილურ, მშვიდ გარემოში ჩატარდეს არჩევნები. გაცილებით უფრო მძიმე ფასი დევს სასწორზე, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

მთელი საერთაშორისო დამკვირვებლების, ამერიკის ელჩის შეფასებით, საქართველოში განსაკუთრებულად ხაზგასმით არის წინასაარჩევნო გარემო კარგი და სტაბილური, სწორედ ამ განცხადებას დაარტყეს, სწორედ ამ საერთაშორისო აღიარებას შეეწინააღმდეგნენ თარგამაძის მანქანის აფეთქებით. ეს არის რეალობა.

***– რამდენად გრძნობს ხელისუფლება პასუხისმგებლობას მომხდართან დაკავშირებით?***

– ყველაფერზე, რაც სახელმწიფოში ხდება, რასაკვირველია, პასუხისმგებელი არის ხელისუფლება. როდესაც ხელისუფლებას ასე აგრესიულად უპირისპირდებიან ამის პროფესიონალი შემსრულებლები, ეს არის ზურგში ჩარტყმა, მაგრამ პასუხისმგებლობა, ცხადია, არსებობს. ყველას, ვინც გამოვლინდება გამოძიების შედეგად, რომ კონსპირაციაში მონაწილეობს, მათ შორის გივი თარგამაძესთან დაკავშირებით, უმკაცრესი პასუხი უნდა მოეთხოვოს, ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა, რასაც სრულად ვეთანხმები.

არც იმას არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც კრიმინალური კუდები იყოს. სამ ქვეყანაში ჩავიდა გივი თარგამაძე და ოპოზიციას ეხმარებოდა. ბელორუსიაში, უკრაინაში, მოსკოვში, სამივე შემთხვევაში ოპოზიცია ციხეში წავიდა. უფრო ღრმად ველარ შევალ. გამოძიება მიმდინარეობს, დაველოდოთ შედეგებს.

***– სააკაშვილი აცხადებს, რომ 8 ოქტომბერს ჩამოვა და არჩევნების შედეგებს დაიცავს. რამდენად განხორციელებადია ეს განცხადება?***

– ნაციონალურმა მოძრაობამ იცის, რომ დიდი ანგარიშით აგებს და ბოლო წამებზე სათადარიგო მოთამაშეები შემოჰყავს, მაგრამ განწირულია ყველანაირი წაგებისთვის. სააკაშვილი იმ ბრძოლაში ჩაერთო, რომელიც ქვეყნის დამარცხებას და მის პირად გამარჯვებას ითვალისწინებს, მაგრამ არაფერი გამოუვა. სააკაშვილი არის უპერსპექტივო, როგორც ოდესის გუბერნიაში, ისე ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოზე და მის პოლიტიკურ ცხოვრებაზე აღარც კი ვსაუბრობ.

სააკაშვილს არავითარი შანსი აღარ გააჩნია არსად. ამიტომ გადაწყვიტა, რომ საქართველო არის ის ასპარეზი, სადაც შეუძლია, კაკო ბობოხიძისა და პეტრე ცისკარიშვილის იდეებზე დაყრდნობით ჩამოვიდეს და განახორციელოს რაღაც ცვლილებები, რომლებიც არ აწყობს ქართველ საზოგადოებას. თქვენ წარმოიდგინეთ, არ აწყობს არც ნაციონალურ მოძრაობას.

სააკაშვილი თანაპარტიელებს რევოლუციური გზისკენ მოუწოდებს. ცოტა ხნის წინ ახალგაზრდები გამოვიდნენ და ღიად ისაუბრეს იმ სცენარზე, რაზეც ახალგაზრდები არ არიან თანახმა. ამ ახალგაზრდებზე თქვეს, გადმოიბირესო, ის კი არ დაუშვეს, რომ შეიძლება ახალგაზრდებს არ უნდათ რევოლუციურ სცენარში მონაწილეობა, არ უნდათ ბათქა-ბუთქში მონაწილეობა.

***– დანარჩენი ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ ერთმანეთი აწყობთ, რომ ისინი თამაშგარე მდგომარეობაში არიან.***

– არა, ასე არ არის. როგორ, თამაშგარე როგორ არიან?! ეს არის აბსურდის თეატრი. აბსოლუტურად სხვა გზით მიდიან, იმის მაგივრად, რომ რეალისტური გეგმა წარმოადგინონ თუ როგორ მოვიშოროთ ის საშინელი მემკვიდრეობა, რომელიც სააკაშვილმა დატოვა, არარეალურ წინასაარჩევნო კამპანიას სთავაზობენ ამომრჩეველს. კი ბატონო, ისაუბრონ ნეგატივზე, მაგრამ პოზიტივიც გაიხსენონ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმაზე გააკეთონ მეტი აქცენტი. მეტი შემართება, მეტი კრეატივი მართებთ და არა ბიძინა ივანიშვილის უადგილო კრიტიკა. აბსოლუტურად შეუსაბამოდ იქცევიან.

***– ისინი ამბობენ, რომ ნაციონალური მოძრაობის მთავარ ოპოზიციურ ძალად დარჩენა არის „ქართული ოცნების“ ამოცანა.***

– ამის დაბრალება არის უგუნურება. ეს არის აბსურდი, ეს უფრო არის გათვლა იმაზე, რომ ამ განცხადებით ყურადღება მიიქციონ, ამას რეალობასთან არავითარი საერთო არ აქვს. მე მოვუწოდებ მათ, ჯერ კიდევ არ არის გვიან, მობილიზება გააკეთონ, რათა პროდასავლურმა ძალებმა პარლამენტში შევძლოთ თანამშრომლობა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ნაციონალური მოძრაობა არც პროდასავლურია და არც – ქართული.

# ირაკლი სესიაშვილი: „ნაციონალური მოძრაობის მიზანი დესტაბილიზაციაა“

– ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ნიშნული ნულს უტოლდება, ამიტომ ცდილობენ, არა არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა, არამედ არჩევნების შემდგომი პროცესების ინტერესი აქვთ, რაც ქვეყნის დესტაბილიზაციაში გამოიხატება.




ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ წევრმა ირაკლი სესიაშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ ინტერესში არ შედის ქვეყანაში რაიმე დაძაბული სიტუაცია. სესიაშვილის განცხადებით, მმართველი პარტია და ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს, რომ არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიაროს.

– ელემენტარული აზროვნება ვისაც აქვს, მიხვდება, რომ თარგამაძის მანქანის აფეთქება არანაირად არ შედიოდა ხელისუფლების ინტერესებში. ჩვენი ამოცანაა იყოს მშვიდობა, „ქართული ოცნება“ ამისთვის არაფერს იშურებს.

ნაციონალური მოძრაობა, რომლის პოლიტიკური ნიშნული ნულს უტოლდება, ცდილობს არა არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, არამედ არჩევნების შემდგომი პროცესების ინტერესი აქვთ, რაც ქვეყნის დესტაბილიზაციაში გამოიხატება, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მამუკა არეშიძე: „გივი თარგამაძეზე თავდასხმამ ნაციონალების წისქვილზე დაასხა წყალი“

ნონა ცაბაძე

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე „ახალ თაობასთან“ გივი თარგამაძეზე განხორციელებულ თავდასხმაზე საუბრობს.



**მამუკა არეშიძე:**

– რაში უნდა აწყობდეს დღეს ხელისუფლებას გივი თარგამაძის დაშინება, ან მისი სიკვდილი? გივი თარგამაძე დღეს არ არის ის ფიგურა, რომელსაც შეუძლია, რომ რადიკალურად შეცვალოს მდგომარეობა არჩევნების წინ რამდენიმე დღით ადრე. ასეც რომ იყოს, ხელისუფლებას უამრავი დრო ჰქონდა ამ ოთხი წლის განმავლობაში, მოეხდინა გივი თარგამაძის ლიკვიდაცია, თუ მას უნდოდა. არჩევნების წინ ასეთი აქციის ჩატარება ხელისუფლებისთვის აბსოლუტურად წამგებიანია.

***– ვის ინტერესში იყო ეს?***

– ალბათ, ვიღაც იკითხავს, აბა, გივი თარგამაძემ თავად ჩაიდინა ეს? ან როგორ განსაზღვრა ასაფეთქებელი ნივთიერების დოზა ისე, რომ თავად არ დაზიანებულიყო?! ეს კითხვაც ლოგიკურია. მოდით, ვიკითხოთ, ვის უფრო აწყობდა?!

***– და ვის აწყობდა?***

– შეიძლება ეს ყოფილიყო მესამე ძალა. თუმცა მე დღეს ვერ დავასახელებ ვერც ქვეყანას და ვერც ისეთ პოლიტიკურ ძალას, ვისაც შეიძლება აწყობდეს დატაკება ოპოზიციისა და ხელისუფლებისა. იმიტომ, რომ არ ვიცი, ვინ შეიძლება ყოფილიყო. თუმცა შეიძლება არსებობდეს ასეთი ძალა, რომელსაც შეუძლია მსგავსი აქცია განახორციელოს. იმისთვის, რომ შექმნას დესტაბილიზაციის ფონი.

***– თავად ნაციონალების ინტერესზე რას იტყვით?***

– მეორე სწორედ ნაციონალების ინტერესია, მათ დაჩაგრულად წარმოადგინეს მთელი მსოფლიოს წინაშე თავი, რომ მათ ლიდერებს ესხმიან თავს და აფეთქებენ. თუმცა ეს ყველაფერი არის ძალიან მყიფე და ჰგავს ყავის ჭიქაში მკითხაობას. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ის არის, რომ ხელისუფლების ინტერესში არაფრით უნდა შედიოდეს ასეთი ღონისძიება. ამან ვის წისქვილზე დაასხა წყალი? ისევ და ისევ ნაციონალების, თუმც ხაზს ვუსვამ, მე არანაირი საბუთი არა მაქვს დამამტკიცებელი იმის, რომ ეს მაინცდამაინც ნაციონალების მიერ არის მოწყობილი.

ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, რომელიც ქართველი საზოგადოების ცნობიერებაში შეიძლება წაიშალა.

***– რომელ ეპიზოდს გულისხმობთ?***

– 90-იანი წლების ბოლოს, როდესაც დაიწყო წელში გამართვა იმ ჯგუფმა, რომელსაც მაშინ რეფორმატორთა ჯგუფი ერქვა, იმისთვის, რომ ხაზი გაესვათ იმ ფაქტორისთვის, რომ მათ ჩაგრავენ, ერთ-ერთმა ახალგაზრდამ თავისი მანქანა დაცხრილა. ის კაცი რეფორმატორთა ჯგუფის წევრი იყო. მაშინ გაპიარდა, რომ არიქა, მის მანქანას თავს დაესხნენ, ესროლეს და ასე შემდეგ. შემდეგ კი გამოირკვა, რომ ამ ახალგაზრდამ თავად დაცხრილა საკუთარი მანქანა ამ რეფორმატორთა ჯგუფის დავალებით.

***– ვინ იყო ეს ახალგაზრდა?***

– ამ ახალგაზრდის გვარი კარგად მახსოვს, არ მინდოდა ამის დასახელება, მისი ოჯახი არ არის ჩემთვის შორებელი. ეს ახალგაზრდა ამის შემდეგ აღარ გამოჩენილა მაგათ რიგებში.

***– ცნობადი სახე იყო?***

– არც ისე. კარგით, გეტყვით, გოძიაშვილი იყო ეს ახალგაზრდა გვარად. ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალური მოძრაობა ბევრ რამეზეა წამსვლელი, ასეთ რამეზეც შეიძლებოდა წასულიყო, მაგრამ ამ ყველაფერს დადასტურება სჭირდება.

***– რამდენად შესწევთ ძალოვან უწყებებს ამის გამოძიების უნარი?***

– ამის გამოძიება მარტივად არ მოხდება. ამას დრო სჭირდება. თუ თავადვე მათი რიგებიდან ვიღაცამ არ დაასახელა კონკრეტული დამკვეთი და შემსრულებელი, თუ ეს ნაციონალური მოძრაობაა. ხოლო თუ ეს მესამე ძალის მიერ არის გაკეთებული, ამის გამოძიების შანსი თითქმის არ არსებობს. ამის კვალს შესაძლოა ვერასოდეს მიაგნონ!

***– როდესაც მესამე ძალაზე მიდის საუბარი, უკვე გაიჟღერა რუსეთის სპეცსამსახურებმა. თქვენ რამდენად უშვებთ ამას?***

– ვერაფერს ვიტყვი. არ შემიძლია ხელაღებით ლაპარაკი. შეიძლება სხვა პოლიტიკური ძალაა, შეიძლება სხვა ქვეყანაა ამაში ჩართული. მე ეს არ ვიცი. ფაქტი ერთია, რომ ამითი ნაციონალები არ დაზარალდნენ. არც ფიზიკურად დაზარალდნენ და არც – მორალურად. პირიქით, მომხდარმა სერიოზულად დაასხა მათ წისქვილზე წყალი.

***– არჩევნებამდე სამი დღით ადრე რას ელოდებით?***

– ველოდები, რომ ასეთი რამ გაგრძელდება. კიდევ რა უბედურებას დაგეგმავს ნაციონალური მოძრაობა, კაცმა არ იცის. ხალხმრავლობის ადგილას მომხდარი ნებისმიერი ექსცესი გაასმაგდება! ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია მოწოდება იმის თაობაზე, რომ გვამი სჭირდებათ და ასე შემდეგ. ეს „მითიური გვამის“ ფაქტორი სულ მუშაობს.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო თარხან მოურავის განცხადება.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ მან 8 ოქტომბერს, 8 საათზე დააანონსა მზაობა აქციის დასაწყებად.

***– აქციის მოტივი?***

– თუ გაყალბდება არჩევნები, ამის მთავარი მოტივი ეს იქნება.

***– მერე რა არის ამაში მნიშვნელოვანი?***

– ის ერთგვარად მოედანს არტყამს ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც იგივეს გაკეთებას აპირებდა. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილია იმ ოპოზიციური პარტიების მიმართ, რომლებიც შესაძლოა უკმაყოფილონი იყვნენ არჩევნების შედეგებით. ანუ თუ პროტესტის გამოთქმა გინდათ, მოდით ჩვენთან.

***– ეს რაზეა გათვლილი?***

– ნაციონალური მოძრაობა პოსტ საარჩევნოდ აქციებს გეგმავდა და გათვლას აკეთებდა იმაზე, რომ ყოფილიყო არა მარტო, არამედ სხვა უკმაყოფილო პარტიების გარემოცვაში. თარხან მოურავმა მათი ამ ჩანაფიქრის შესრულებაში სერიოზული ბზარი შეიტანა.

# მიხეილ სააკაშვილი: „3 დღეში გადმოვცურავ ზღვას“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– საქართველოში დაბრუნდა დრო, როდესაც თბილისის ცენტრში მანქანაში აფეთქებენ ადამიანებს და პოლიტიკურ ლიდერებს; დაბრუნდა დრო, როდესაც უდანაშაულო ადამიანები ზიანდებიან ტერორისტული აქტის გამო. მე მინდა თანადგომა და გამხნევება გამოვუცხადო იმ ადამიანებს, ვინც გუშინ ტერორისტული აქტის შედეგად დაზარალდა, მაგრამ მინდა ასევე მკაფიოდ ვთქვა – თუ ვინმეს იმედი ჰქონდა, რომ დაგვაშინებდა, რომ თქვენ აქ არ მოხვიდოდით და ეს აქცია არ შედგებოდა, ძალიან მწარედ გავუცრუეთ ეს იმედი, – განაცხადა ბ-მა ბაქრაძემ.

მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველო დაიღალა იმ მარაზმით და უკუსვლით, რომელსაც ყოველდღიურად გვთავაზობს ხელისუფლება.

– მთელი საქართველო დაიღალა იმ ზიზღით და ქვის სროლით, რომელსაც გვთავაზობს მთავრობა, რომელსაც არ შეუძლია ილაპარაკოს პროგრესზე. ამიტომ თქვენთან ერთად 3 დღეში წერტილი უნდა დავუსვათ ამ დაპირისპირებას და ზიზღს და ყველამ ერთად დავიწყოთ ახალი, უკეთესი საქართველოს შენება ახალი ენერგიით, – აღნიშნა ნაციონალების სიის პირველმა ნომერმა.

ხალხის რაოდენობას არ ასახელებს, მაგრამ დასწრების მაჩვენებლით კმაყოფილია პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი. მისი თქმით, ეს იყო საკმარისი რაოდენობა ხალხის იმისთვის, რომ მათი სულისკვეთება ენახვებინა.



**სერგო რატიანი:**

– დღეს არა ჩვენი გზავნილი მივიდა ხალხთან, არამედ ხალხი მოვიდა საკუთარი გზავნილებით. ეს არის გამარჯვების კვირა, ამ ადამიანებს აქვთ ქვეყნის მშენებლობის გამოცდილება და ჩემთვის საამაყოა ეს სულისკვეთება.





პარტიის სხვა ლიდერებმაც დამაიმედებელი პროგნოზები გააკეთეს. ბევრი ისაუბრეს ხელისუფლების მხრიდან დევნაზე.

◆ ◆ ◆

5 ოქტომბრის აქციაზე არავის უხსენებია პატიმრობაში მყოფი ლიდერები – გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალაია.

ამან პარტიის მხარდამჭერებში უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც ამბობენ, ისინი სააკაშვილის მითითებით არ ახსენეს. აქციის წინა დღეებში ყოფილმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ნაციონალები ხელისუფლებაში მოვლენ, მთავრობაში არც ერთი ძველი სახე აღარ იქნება.

◆ ◆ ◆

ნაციონალების აქციამ ექსცესების გარეშე ჩაიარა. ყვირილი და ხმაური

მაშინ დაიწყო, როცა აქციას ცოცხგამობმულმა დრონმა გადაუფრინა.

დრონმა ცაზე რკალი შემოხაზა, ამის შემდეგ კი ფრენა გააგრძელა. აპარატი აქციის თავზე რამდენიმე წუთის განმავლობაში დაფრინავდა.

# მამუკა გვაძაბიამ ვაშაძის პარტია დატოვა

გულიკო ბალაძე

პარტია „სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველო“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა გვაძაბიამ და მისმა მომხრეებმა დატოვეს.

თვეების წინ, მამუკა გვაძაბიამ ვაშაძესთან ერთად პარტიის დაფუძნების გამო, უპარტიოთა მოძრაობის ფუნქციონირება შეაჩერა და თავის მეგობრებთან და მომხრეებთან ერთად ახალ პარტიაში დაიწყო საქმიანობა.

– ვტოვებ პოლიტიკური პარტია „სამოქალაქო პლატფორმა – ახალ საქართველოს“ (როგორც მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი), შესაბამისად, ვტოვებ ბლოკს „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ ექსკლუზიურად მამუკა გვაძაბიამ და ისაუბრა გიორგი ვაშაძის კავშირზე ნაცმოძრაობასა და სააკაშვილთან

***– პარტიის დატოვების მიზეზი რა არის?***

– მიზეზთა შორისაა ჩემი აბსოლუტური იმედგაცრუება პარტია „სამოქალაქო პლატფორმა – ახალ საქართველოსა“ და მისი ლიდერის გიორგი ვაშაძის მიმართ.

***– გიორგი ვაშაძემ იმედი რით გაგიცრუათ?***

– მისი მხრიდან აბსოლუტურად იგნორირებულ იქნა გაცხადებული პრიორიტეტები, რომლებითაც პარტიამ დაიწყო თავისი საქმიანობა.

***– კერძოდ, რა?***

– ჩვენი გაცხადებული პრიორიტეტები იყო შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარება, გამჭვირვალობა, ღიაობა პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობაში. არც ერთი არ განხორციელდა.

***– საზოგადოებას რას უმალავენ?***

– შიდაპარტიული დემოკრატია არ განვითარებულა, არანაირი გამჭვირვალობა პარტიაში არ არის. მათ შორის, ფინანსური გამჭვირვალობა ბუნდოვანია. როგორ იმართება და როგორ იხარჯება პარტიაში ფინანსები, გაუგებარია. საზოგადოებასთან ურთიერთობაშიც არ არის ღიაობა.



**„ვაშაძე არც ერთ საკითხში დამოუკიდებელი არ იყო“**

***– როდესაც საუბრობთ პარტიაზე, კონკრეტულად, ვაშაძის მიმართ გაქვთ პრეტენზიები?***

– დიახ, ვგულისხმობ ვაშაძეს. გარკვეულწილად, მისი იმედი მქონდა. როდესაც ვაშაძესთან ერთად პარტიის დამფუძნებელი გავხდი, უპარტიოთა მოძრაობამ, პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, „უპარტიოთა მოძრაობის“ ფუნქციონირება შეაჩერა. ჩემი მეგობრები ჩვენი რესურსებით შემოუერთდნენ ახალ პარტიას. ევროატლანტიკური ორიენტაციის ამომრჩეველი, რომელიც რაღაც მოსაზრებით ხმას არ მისცემდა არც სახელისუფლებო გუნდს და არც ოპოზიციას, შეიძლებოდა მოგვეზიდა და აღნიშნული ხმები არ დაკარგულიყო.

***– თქვენი წამოსვლით დაახლოებით რამდენ მხარდამჭერს დაკარგავს ბურჭულაძის და ვაშაძის ბლოკი? დევნილებს?***

– დევნილებს და არადევნილებს. არ მინდა ბუნტისთავად გამოვიდე, მაგრამ საკმაოდ სოლიდურ ხმებს დაკარგავენ. ძალიან ბევრია, რომელიც ჩემს პოზიციაზე დგას.

***– აქამდე რატომ არ წამოხვედით?***

– სპეციალურად არ წამოვედი აქამდე. ზუსტად დროულად გამოვდივარ, არჩევნებამდე რამდენიმე დღე რომ რჩება. თვენახევარია პარტიასთან აღარ ვურთიერთობ. რაღაც მომენტებს ვაზუსტებდი.

***– იციან, რომ პარტიას ტოვებთ?***

– არა. არავისთან შემითანხმებია და არც არავისთან რაიმეს შეთანხმებას ვაპირებ.

***– ე.ი. განაწყენებული მოდიხართ?***

– როდესაც ფუძნდებოდა, მივედი. პარტიის ლიდერს ჩემი პოზიციები გავუზიარე, მაგრამ თანდათანობით ვატყობდი, რომ ბატონი ვაშაძე არც ერთ საკითხში დამოუკიდებელი არ იყო.

***– რას გულისხმობთ, თავის გადაწყვეტილებებს ვის უთანხმებდა?***

– ვაშაძე და მე რაღაც საკითხზე ერთ დღეს რომ შევთანხმდებოდით, მეორე დღეს სულ სხვა პოზიციაზე იდგა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# გიგა ბუკია: „ეს აფეთქება დიდი გეგმის ნაწილია“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ თბილისის ცენტრში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებასა და სხვა საკითხებზე ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატ გიგა ბუკიას.

**გიგა ბუკია:**

– კატეგორიულად ვგმობ ძალადობასა და იარაღის გამოყენებას. ეს მიუღებელია ნებისმიერ შემთხვევაში, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს. მით უმეტეს, აღმაშოთებელია, რომ ამ აფეთქების შედეგად დაშავდნენ გამვლელები.

***– რა ჰქონდათ ჩაფიქრებული მის ორგანიზატორებს?***

– ჩემი აზრით, ესაა დიდი გეგმის ნაწილი. ამ გეგმით, ხელი უნდა შეეშალოს ქვეყნის განვითარებას, უნდა დაირღვას უსაფრთხოება და სტაბილურობა. არ ვიცი, ვისი შემოქმედება ან თვითშემოქმედებაა აქ. ყველაფერს გამოძიება დაადგენს. ჩვენ ვერაფერს დავამტკიცებთ. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ მომხდარზე კითხვები ჩნდება.

***– შესაძლებელია თუ არა, რომ აფეთქების მომწყობების მიზანი კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნების ჩაშლაც იყოს?***

– შეიძლება, სხვა რამესთან ერთად, ესეც უნდოდეთ, მაგრამ არ გამოუვათ. ხელისუფლება არც დიდ დესტაბილიზაციას დაუშვებს და არც – არჩევნების ჩაშლას. ქვეყანა უნდა განვითარდეს დემოკრატიულად. არჩევნები უნდა ჩატარდეს გამჭვირვალედ და თავისუფალ გარემოში. არეულობის ორგანიზებით ხელისუფლებაში ვერავინ მოვა. პასუხისგებაში მიეცემიან ისინიც, ვინც ეს აფეთქება მოაწყო და სხვებიც, თუ რაიმე გაბედეს.

***– გივი თარგამაძემ ამ ინციდენტის შემდეგ განაცხადა, რომ არჩევნებში ნაცმოძრაობა გაიმარჯვებს და 9 ოქტომბრიდან პოლიცია ნორმალურად მუშაობას გააგრძელებს. მისი შეფასებით, პოლიცია ახლა ნორმალურად ვერ მუშაობს..***

– ეტყობა, გივი თარგამაძისათვის ნორმალურია, როცა პოლიცია დევნის პოლიტიკურ ოპონენტებს, მათზე ახდენს უხეშ ზეწოლას და არღვევს მოქალაქეების ყველანაირ უფლებებს. ასეთი პოლიცია იყო სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მმართველობის წლებში. არ ვიცი, რატომ ჰგონია თარგამაძეს, რომ პოლიციელებს უნდათ ძველი რეჟიმი და რომ ისინი ნაცმოძრაობის მხარდამჭერები არიან. ჯალათების პატარა ჯგუფის გარდა, ნაციონალებს პოლიციაში მომხრეები არ ჰყავთ.

***– ამ აფეთქებამდეც გამუდმებული მსჯელობა იყო მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე.***

– ეს არ იყო უსაფუძვლო მსჯელობა. გარკვეულ ინფორმაციებზე დაყრდნობით ხელისუფლებამ გააკეთა პრევენციული განცხადებები.

***– ამან იმუშავა?***



– პრევენციულ განცხადებებს მოჰყვა გარკვეული შედეგი. ბევრი დაფიქრდა იმაზე, რა ზიანი შეიძლება მიადგეს ქვეყანას. არადა, ჩვენმა ოპონენტებმა ისიც კი დაგვაბრალეს, რომ მოლანდებები გვაქვს და არეულობით ხალხს ვაშინებთ. ამ ინციდენტმაც დაადასტურა, რომ არაფერს ვიგონებთ. დესტაბილიზაციის მსურველები გეგმებს აწყობენ და მოქმედებენ.

ბოლო დროს გამომჟღავნდა, რომ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის გეგმებში შედის მანქანების დაწვა. რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ჩანაწერი, რომელშიც ნაცმოძრაობის ლიდერი სააკაშვილი საუბრობს მსხვერპლის აუცილებლობაზე. მისთვის სასურველია, მსხვერპლი შვილიანი ქალი იყოს. ახლა მომხდარი აშფოთებს თითქმის ყველას. მათ შორის არ ეწერება სააკაშვილი, რომელიც მსხვერპლზე ოცნებობს. ეს ფაქტი გაუხარდებათ მარტო სააკაშვილს და მის გარემოცვას.

ერთი რამაა კიდევ საყურადღებო – სააკაშვილის ტელევიზია რუსთავი 2-მა იმაზე ადრე შეიტყო მომხდარის შესახებ, ვიდრე 112-მა. აფეთქება ჯერ განხორციელებული არ იყო, რომ ამას უკვე გადმოსცემდნენ რუსთავი 2-ით. ვერაფრის მტკიცებას ვერ დავიწყებ, მაგრამ კითხვები ჩნდება.

***– არჩევნები ახლოვდება, ოპოზიცია კი ისევ ორპოლუსიანობაზე საუბრობს.***

– მართლაც, გვაბრალებენ, თითქოს ოპონენტად მომავალ პარლამენტში მარტო ნაცმოძრაობა გვინდა და ორპოლუსიანობას ვამყარებთ. სინამდვილეში, ჩვენ ვერაფერს ვერ დავამყარებთ. არჩევანს აკეთებს ამომრჩეველი. ხალხი აკვირდება პარტიების მოქმედებებს, განცხადებებს და დაპირებებს. თუ მათი საქმიანობა არ მოსწონს, ან დაპირებები არარეალურად მიაჩნია, ეს არაა „ქართული ოცნების“ ბრალი.

ქვეყანაში წინასაარჩევნო კამპანიისათვის ნორმალური გარემო შეიქმნა. პარტიებს შეუძლიათ, არჩევნებამდე დარჩენილი დროც აქტიურად გამოიყენონ ამომრჩევლისთვის თავიანთი პოზიციების მისაწოდებლად. დანარჩენი ამომრჩეველზეა დამოკიდებული.

# „ნაციონალები კიდევ ბევრ აფეთქებას მოაწყობენ“

შორენა მარსაგიშვილი

ვის ინტერესებში იყო გივი თარგამაძის მანქანის აფეთქება, რას გეგმავენ ნაციონალები, რატომ უნდა მიაქციოს ხელისუფლებამ ბათუმის მიმართულებას განსაკუთრებული ყურადღება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრება.

***– თქვენ, როგორც სამხედრო, აფეთქებებში კარგად ერკვევით და რას იტყვით გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებაზე? ნაციონალები ამბობენ, რომ ეს ხელისუფლებამ მოაწყო, ხელისუფლება კი მომხდარს ნაციონალების მიერ დადგმულ სპექტაკლს უწოდებს.***

– გივი თარგამაძის მანქანის აფეთქება ნაციონალების მიერ მომზადებული პროვოკაციაა.

მე კარგად შევისწავლე აფეთქების სურათი და, როგორც სამხედრომ, გავაკეთე დასკვნა. დავუშვათ, მართლა ვიღაცას სურდა გივი თარგამაძის ან ნებისმიერი სხვა პიროვნების ლიკვიდაცია. ასეთი ფორმით, როგორც ეს 4 ოქტომბერს მოხდა, არ კეთდება.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ხდება ასაფეთქებელი ობიექტის შესწავლა. დგინდება, სად, როდის, როგორ და რომელ საათზე გადაადგილდება ის. ამის გარდა, სწავლობენ ობიექტის ავტომობილში განთავსების სისტემატურ ადგილს. როგორც გივი თარგამაძემ განაცხადა, ის სულ წინ ზის. წესით, ამ საქმის გამკეთებელს ეს ფაქტი უნდა სცოდნოდა.

როდესაც გადაწყვეტილია ამა თუ იმ პიროვნების ლიკვიდაცია, სპეციფიკური ასაფეთქებელი ნივთიერება ეკვრება იმ ადგილზე, სადაც ობიექტი ჯდება ავტომობილში. თუ ობიექტი წინ ჯდება, წინა მხარეს მიაკრავენ, თუ უკან ჯდება, მაშინ უკანა მხარეს.

***– ხომ შეიძლება ეს ადამიანი ხან წინ იჯდეს და ხან უკან?***

– თუ უკონტროლოა ობიექტის დაჯდომის ადგილი, მაშინ ასაფეთქებელი ნივთიერება თავსდება მანქანის ცენტრში. ამ შემთხვევაში ასაფეთქებელი ნივთიერება ისე იყო მანქანაში მიმაგრებული, რომ იქ მყოფ პიროვნებებს არ მოუტანდა ზიანს.

მანქანის უკანა მხარეს, საბარგულში, საკვამურთან არის ცარიელი სივრცე, რომელიც აფეთქების დროს არავითარ დეტონაციას არ იწვევს. ასეთ შემთხვევაში აფეთქება იმოქმედებს არა მანქანის შიგნით, არამედ გარეთ. 4

## ტრისტან წითელაშვილი: „ბათუმში მაიდნის სნაიპერები ჩამოვიდნენ“

ოქტომბერსაც ასე მოხდა. აქედან გამომდინარე თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო ნაციონალების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია.

***– რატომ გამორიცხავთ, რომ ეს ვიღაც სხვას გაეკეთებინა და მიზნად გივი თარგამაძის დაშინება ჰქონოდა?***

– გამორიცხულია. ეს გივი თარგამაძის და გიგა ბოკერიას მიერ დადგმული სპექტაკლია. აფეთქება ნაციონალების მიერ დაანონსებული აქციის წინა დღეს მოხდა.

ეს აფეთქება გივი თარგამაძის ლიკვიდაციის მიზნით არ მომხდარა. მათ სჩვევიათ მსგავსი ავანტიურისტული მოქმედებები. ხან ვითომ სააკაშვილს ესროლეს, ხან ხურჩაში მოაწყვეს ტერაქტი. ასეთი სცენარები ნათლად იკითხება. ეს არის არეულობისთვის შესამზადებელი სიტუაცია. ამით უნდათ მსოფლიო დაარწმუნონ, რომ საქართველოში ქაოსია და აქ არიან ტერორისტები.

***– რატომ გამორიცხავთ, რომ მომხდარის უკან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები დგანან?***

– ეს წარმოუდგენელია. სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებიც და ხელისუფლებაც ასეთ უნიჭო სპექტაკლს არ დადგამდნენ. ისინი მსხვერპლად გივი თარგამაძეს არ შეარჩევდნენ.

***– რატომ არ შეარჩევდნენ, ის ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერია.***

– რა ლიდერი? ის არის პოლიტიკურად ჩამოწერილი. თარგამაძე არც შინ და არც გარეთ არავის აინტერესებს. სპეცსამსახურებს და პროფესიონალებს რომ გაეკეთებინათ ეს, საქმე უმაღლეს დონეზე შესრულდებოდა და გივი თარგამაძის ბუნდღაც არ იქნებოდა, ისეთი ტიპის ასაფეთქებელ საშუალებას მიაკრავდნენ მის მანქანას.

ეს არის ნაციონალების ხელწერა. ისინი თავისას არ დაიშლიან და ამ დღეებში სერიოზულ არეულობას უნდა ველოდოთ.

***– რა ტიპის არეულობებს უნდა ველოდოთ?***

– ყველანაირი არეულობაა მოსალოდნელი. არჩევნებამდე დარჩენილ დროში ხელისუფლებამ მაქსიმალური ყურადღება უნდა გამოიჩინოს. კონტროლზე უნდა აიყვანონ ის ხალხი, რომლებიც საეჭვოდ გადაადგილდებიან. განსაკუთრებული ყურადღება უნ-



და მიექცეს ბათუმის მიმართულებას.

***– ბათუმში რა ხდება ამისთანა?***

– იქ ჩამოსული არიან ჯგუფები. საუბარია იმ ხალხზე, რომლებიც უკრაინაში მაიდანზე სნაიპერები იყვნენ. მათი ვინაობა მე თავის დროზე დავასახელე. ისინი ბათუმში არიან. ხელისუფლებას მოვუწოდებ, მიხედონ. მე ჩემს თანამებრძოლებთან და მოსახლეობასთან ერთად გამოვალ და ნაცებს ქვეყნის გაუბედურების უფლებას არ მივცემ. ყველას დავამტვრევთ ხელებს, ვისაც ქვეყანაში სისხლისღვრა უნდა.

# ზვიად კუპრავა: „თარგამაძის აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ივანიშვილს ეკისრება“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ არის პასუხისმგებელი დეპუტატის მანქანის აფეთქებაზე, რატომ უნდა გამოიძიოს ხელისუფლებამ საქმე არჩევნებამდე? – ამაზე „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.

**ზვიად კუპრავა:**

– ხელისუფლება ცდილობს, მის მიერ მოწყობილ ტერაქტს მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაცია მიანიჭოს. ეს არ იყო მკვლელობის მცდელობა. ეს მარტო მკვლელობის მცდელობა რომ ყოფილიყო, გივი თარგამაძეს სადარბაზოსთან „დაუსატკაცებდნენ“.

მე იმას არ ვამბობ, რომ რაც მოხდა, მკვლელობას არ ითვალისწინებდა. 4 ოქტომბერს იმხელა მასშტაბის აფეთქება მოხდა, იქ მკვლელს არ შეეძლო ცალსახად განესაზღვრა, გადარჩებოდნენ თუ არა მანქანაში მსხდომი პირები. აფეთქების მასშტაბებიდან გამომდინარე. მკვლელი ალბათ დარწმუნებული იყო, რომ მანქანაში მყოფებს დახოცავდა.

***– მანქანაში მყოფი არც ერთი პირი სერიოზულად არ დაშავებულა.***

– ღვთის წყალობა რომ არა, ისინი მანქანიდან ცოცხლები არ უნდა გადმოსულიყვნენ. ამ აფეთქებას სხვა დატვირთვაც ჰქონდა. დროც საგანგებოდ იყო შერჩეული – პიკის საათი,



ქალაქის ცენტრი, სადაც უამრავი ადამიანი ტრიალებს. ეს აფეთქება მიზნად ისახავდა საზოგადოების დაშინებას. ხელისუფლება იმ ხალხის დაშინებას შეეცადა, ვინც 5 ოქტომბრის აქციაზე აპირებდა წასვლას.

რაც შეეხება ტერაქტს, ბოლოს ასეთი რამე მოხდა გორში. მაშინ ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოვიდა დივერსიული ჯგუფი, რომელმაც პოლიციის შენობასთან მოაწყო აფეთქება.

***– 2005 წლის 1 თებერვლის აფეთქებას გულისხმობთ?***

– კი. მანამდე ტერაქტები საქართველოში ლამის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მხედრიონის და შევარდნაძის დროს ასეთი რამეები ხშირად ხდებოდა. რაც სახელმწიფოებრივი ცხოვრება დაიწყო, ასეთი რამე მხოლოდ 2005 წლის 1 თებერვალს მოხდა.

***– 2008 წლის მაისში ხურჩაში მომხდარ აფეთქებასაც ხომ ტერაქტის კვალიფიკაცია მიენიჭა.***

– მაშინაც ტერაქტი იყო. ავტობუსი ააფეთქეს. ეს ფაქტი მაშინდელმა ხელისუფლებამ თავიდან ბოლომდე გამოიძია.

***– ამბობენ, რომ ეს ნაციონალურმა მოძრაობამ მოაწყო.***

– გამოძიებით დადგინდა, რომ ეს იყო დივერსიული აქტი, რომელიც აფხაზეთის არალეგიტიმურმა მთავრობამ მოაწყო.

***– ხელისუფლების რეაქციაზე რას იტყვით? ნაციონალები განსაკუთრებით პრემიერის განცხადებამ გააღიზიანა.***

– პრემიერის განცხადება იყო სრულიად სამარცხვინო. მას არ აქვს უფლება, საზოგადოებრივი აზრი სხვა მიმართულებით მიმართოს. ის ყველაზე მეტად უნდა იყოს დაინტერესებული საქმის უსწრაფეს გამოძიებაში. ამ საქმის გამოძიება სახელმწიფოსთვის არის უმნიშვნელოვანესი. სანამ ეს საქმე არ გაიხსნება, მანამდე პასუხისმგებლობა მას დაეკისრება.

***– სანამ არ გაიხსნება, მანამდე დაეკისრებაო და ვარაუდობთ, რომ ვიღაც სხვამ გააკეთა?***

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ამის უკან ხელისუფლება დგას. ახლა მათ შემკვეთი და შემსრულებლები უნდა დაასახელონ. მანამდე მომხდარზე პასუხისმგებლობა ბიძინა ივანიშვილს ეკისრება.

***– ბიძინა ივანიშვილს რატომ ეკისრება?***

– იმიტომ, რომ ის არის ქვეყნის რეალური ბატონი. მოვუწოდებ ხელისუფლებას, ეს საქმე 8 ოქტომბრამდე გამოიძიოს. მერე ამისთვის აღარ ეცლება.

***– რას ნიშნავს არ ეცლება?***

– 8 ოქტომბრის შემდეგ ისინი ხელისუფლების გადაბარებით იქნებიან დაკავებული.

ეჭვი მეპარება, მათ ეს საქმე გამოიძიონ და დამნაშავეები დააკავონ. ამის ნათელი მაგალითი ირაკლი ოქრუაშვილზე მომხდარი თავდასხმაა. მაშინვე დასახელდა პიროვნება, რომელიც ოქრუაშვილს თავს დაესხა, მაგრამ ხელისუფლებამ ის არ დააკავა. დამნაშავე დღემდე დაუსჯელი იქნებოდა, თავისი ფეხით რომ არ მისულიყო პოლიციაში.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# კახაბერ კორძაია: „ხელისუფლებაში ისეთი პროფესიონალები უნდა მოვიდნენ, ვისაც უკეთესი მომავლის შექმნა შეუძლიათ!“

კახაბერ კორძაიას სამეცნიერო და საგანმანათლებლო წრეები კარგად იცნობენ, თუმცა მიუხედავად ამისა, პოლიტიკაში ახალი სახეა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „პატრიოტთა ალიანსის“ ვაკე 3-ის მაჟორიტარობის კანდიდატი პოლიტიკაში მხოლოდ ახალი ენერგიით და იდეებით კი არა, პროფესიონალიზმით, ღირსებით, წესიერებით, პრინციპულობით, განათლებითა და ერუდიციით მოდის. და მაინც, ვინ არის და რა გზა განვლო „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ რექტორმა კახაბერ კორძაიამ?

შტრიხები ოფიციალური ბიოგრაფიისთვის: კახაბერ კორძაია 1979-1982 წლებში სწავლობდა თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში, 1982-1987 წლებში – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. მოგვიანებით, 2001-2004 წლებში – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე (ფინანსები და საბანკო საქმე); 1987-1993 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1993 წელს გახდა იაპონიის განათლების სამინისტროს სტიპენდიანტი; 1993-1998 წლებში მუშაობდა კიოტოს უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტში მეცნიერ-მკვლევარად; 1999-დან 2002-წლამდე იყო ფარმაცევტული საწარმო სს GPG-ის ფინანსური დირექტორი და ასევე, ქართულ-იაპონური კომპანია „საქართველოს ინვესტიციების მართვისა და კონსალტინგის კორპორაციის“ გენერალური მენეჯერი; 2002-2005 წლებში – ბალნეოლოგიურ კურორტ შპს „ნუნისის“ გენერალური დირექტორი; 2004-2005 წლებში – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პროექტის – „ლიბერალური ხელოვნების ინსტიტუტის დაარსება თბილისში“ მენეჯერი; 2005 წლის მარტიდან 2005 წლის სექტემბრამდე ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრირებისა და ეკონომიკურ საქმეთა დეპარტამენტს; 2005 წლის სექტემბრიდან 2006 წლის აპრილამდე ეკავა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) თანამდებობა; 2005 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაციის – „დისტანციური განათლების საქართველოს ეროვნული ასოციაცია“ გამგეობის თავმჯდომარე; 2007 წელს დაინიშნა „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ რექტორად; 1998 წლიდან კიოტოს უნივერსიტეტის მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორია. გამოქვეყნებული აქვს 11 სამეცნიერო ნაშრომი; ფლობს ქართულ, ინგლისურ, რუსულ და იაპონურ ენებს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი...

ფილოსოფოსი წყვილის – ნანა ჭაბუკიანისა და ჯანსულ კორძაიას მეორე ვაჟი, მომავალი მათემატიკოსი კახაბერი 6 წლამდე ვერაზე იზრდებოდა. მერე, ჯანსულ კორძაია, როგორც პროფესორი, ვაკეში ოთხოთახიან ბინას მიიღებს და ოჯახი საცხოვრებლად აბაშიძის ქუჩაზე გადავა. სხვათა შორის, კახაბერ კორძაია დღემდე ამ ბინაში ცხოვრობს... კახაბერი რვა კლასს 55-ე სკოლაში დაასრულებს და ვინაიდან მათემატიკური ნიჭით გამოირჩევა, სასწავლებლად „კომაროვში“ გადავა, რომელსაც ოქროს მედალზე ამთავრებს და 1982 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ხდება.

„ბავშვობიდანვე მინდოდა, მეცნიერი გავმხდარიყავი. ჩემი კუმირები ვეკუა და მუსხელიშვილი იყვნენ. საერთოდ, შინაგანადაც მკვლევარი ვარ, – ამბობს ვაკის 3-ის მაჟორიტარობის კანდიდატი კახაბერ კორძაია, რომელიც უნივერსიტეტშიც, სკოლის მსგავსად, გამორჩეული და „თითით საჩვენებელი“ იყო, – ისე არ გამიგოთ, რომ თავს ვიქებ, მაგრამ მეორე კურსზე უკვე არაპროგრამული წიგნების კითხვა და რაღაცების კვლევა დავიწყე, თან ერთ-ერთ პროფესორს ვთხოვე, რომ ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი გამხდარიყო...“

ვაკე 3-ის მაჟორიტარობის კანდიდატი უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, ანუ 1987 წელს, მათემატიკის ინსტიტუტში მუშაობას უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად იწყებს. პარალელურად, მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტი ხდება და დისერტაციის წერას შეუდგება, თუმცა დაცვას ველარ ასწრებს, რამეთუ 1990 წელს, საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ტარდება, სამეცნიერო საბჭოები იშლება და, შესაბამისად, დაცვებიც წყდება... კორძაიების ოჯახში, სადაც ფილოსოფოსები და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები ხშირად იკრიბებოდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობაზე სისტემატურად ლაპარაკობდნენ. შესაბამისად, 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, თბილისში ეროვნული მოძრაობის ტალღა რომ აგორდა, კახაბერმა, მეგობრების მსგავსად, სიარული მიტინგებზე დაიწყო. მერე 9 აპრილის ტრაგედია მოხდა.



## კიოტოს უნივერსიტეტის მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის სადეპუტატო გეგმები

***– ეს იყო უმძიმესი დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში, – ამბობს კახაბერ კორძაია, რომელსაც სიტყვას ინტელიგენციის როლზე ვუგდებ, უფრო სწორად, ვეკითხები, ისე რატომ ხდება, რომ ბოლო წლებში ხელისუფლებები ერის მოაზროვნე ნაწილს, ანუ ინტელექტუალურ ელიტას აღარ აფასებენ-მეთქი.***

– საერთოდ, ერის განვითარებას ხელს ინტელიგენცია უწყობს, რადგან პროგრესი მისგან მოდის. ამიტომ, ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას, რომელიც მიზნად დაისახავს, რომ ხელისუფლებაში სამუდამოდ იყოს, შეტევა ინტელიგენციაზე მიაქვს. ასე მოიქცა საბჭოთა ხელისუფლება – ინტელიგენცია გაწყვიტა. ასეთი გაწყვეტიდან 20-25 წლის მერე, როგორც წესი, მაინც წამოიმართება ამ ფენის ახალი თაობა, მაგრამ წყვეტა მაინც ძალიან ცუდია... ძლიერი ინტელიგენცია არც სააკაშვილს აწყობდა, რომელიც თავის ყოფნას ხელისუფლებაში ხანგრძლივ პერსპექტივაზე თვლიდა, ამიტომ, ერის ინტელექტუალური ნაწილის „ჩარეცხვა“ გადაწყვიტა, თუმცა მოგვიანებით, სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე, მიხვდა, რომ ინტელიგენცია მასაც აუცილებლად სჭირდებოდა და გვერდით ვიღაცები მაინც დაიყენა – თავისი ინტელიგენცია შექმნა!

***– ბატონო კახა, ზოგი ამბობს, რომ ინტელიგენციას ხელისუფლებასთან სიახლოვისკენ აქვს მიდრეკილება. ასეა?***

– სხვისი არ ვიცი, პირადად მე კი, მსგავსი სურვილი არასოდეს მქონია.

***– აბა, ახლა რატომ გინდათ, რომ ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს – საკანონმდებლო ორგანოს წევრი გახდეთ?***

– ხელისუფლებასთან სიახლოვისკენ კი არ მივისწრაფი, არამედ, დროა, ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები და პროფესიონალები მოვიდნენ, ვისაც ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნა შეუძლიათ!

***– და რატომ გგონიათ, რომ ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნა შეგიძლიათ?***

– საკუთარ თავზე ლაპარაკი უხერხულია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუნდაც განათლების სისტემაში, როგორც დეპუტატი, სხვებზე ბევრს გავაკეთებ, რადგან ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს!.. საერთოდ, ნებისმიერ კრიტიკულ მომენტში სწორი გადაწყვეტილების მიღება შემიძლია. ამიტომაც ვთვლი, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებაში სწორედ ჩემნაირი ადამიანები არიან საჭირო. გადაწყვეტილებას გაბრაზების, სიძულვილისა თუ პირადი სიმპათია-ანტიპათიით არასოდეს ვიღებ, არამედ, როგორც იტყვიან, ცივი გონებით. ხელისუფლებაში კი ასეთი ხალხი, როგორც ვაკვირდები, ძალიან ცოტაა.

... მარტივი ჭეშმარიტებაა: ადამიანს ყველაზე კარგად მის მიერ გაკეთებული საქმეები წარმოაჩენს. კახაბერ კორძაიას კი, როგორც მენეჯერს, უამრავი საქმე უკეთებია, თუმცა მის პიროვნებაზე სრულყოფილი შთაბეჭდილების შესაქმნელად ორი მაგალითის გახსენებაც საკმარისია:

90-იანი წლების მიწურულს, სამშობლოში დაბრუნებულ კახაბერ კორძაიას იაპონელებმა საქართველოში იაპონური საინვესტიციო ფონდის წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა შესთავაზეს. კახაბერს ახალი გამოწვევა მოეწონა და შეთავაზებაზე დასთანხმდა. ამასობაში, ერთი იაპონელი მილიარდერი, რომელსაც ფსორიაზი აწუხებს, იგებს, რომ საქართველოში არის წყალი, რომელიც დაავადებას კურნავს. ჰოდა, სურვილს გამოთქვამს, საქართველოში ჩამოვიდეს და თუკი ნუნისის წყალი მართლა უშველის, ეს კურორტი ააღორძინოს.

კახაბერ კორძაია: – იაპონიიდან რომ დავბრუნდი, მალევე, იაპონელებმა შემომთავაზეს, რომ საქართველოში იაპონური საინვესტიციო ფონდის წარმომადგენლობა გაგვეხსნა და სათავეში ჩავმდგარიყავი. დავთანხმდი, პირველი პროექტი, რომელსაც ეს ფონდი განახორციელებდა, ხუდონჰესს ეხებოდა, ანუ მევალებოდა, ხუდონჰესის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შევხვედროდი, მათი მოსაზრებები გამეგო, პარალელურად, იაპონელების ხუდონჰესზე ვიზიტი დამეგეგმა და მომემზადებინა. ასევე, დელეგაცია პრეზიდენტ შევარდნაძისთვისაც უნდა შემეხვედრებინა...

მოკლედ, საქმიანობას შევუდექი. ამასობაში, ანუ 2001 წელს, იაპონელი პარტნიორი დამიკავშირდა და მითხრა, საქართველოში, თურმე, არის წყალი „ნუნისი“, რომელიც ფსორიაზზე კარგად მოქმედებს. ერთ იაპონელ მილიარდერს ფსორიაზის პრობლემა აქვს და საქართველოში ჩამოსვლა უნდა; ამბობს, თუ ეს წყალი ოდნავ მაინც მიშველის, იქაურობას ავაყვავებო... მოკლედ, „ნუნისზე“ ყველაფერი შევისწავლე. მერე, ხარაგაულის გამგებელს დავუკავშირდი და სოფელ ნუნისში ჩავედი, სადაც ლამის გული გამისკდა – კოტეჯები ჩამოქცეული იყო და, კანალიზაციას ვინ ჩივის, ტუალეტიც არ არსებობდა... მცირე ინვესტიცია განვახორციელე, რათა იაპონელი სტუმრისთვის ელემენტარული პირობები მაინც შემექმნა. ბოლო მომენტში, იაპონელმა მილიარდერმა, ოჯახური პირობების გამო, ჩამოსვლა გადაიფიქრა. არადა, ნუნისის აღორძინებით სერიოზულად დავინტერესდი. პარტნიორობა ჩემს მეგობრებს, ფარმაცევტულ ბიზნესში მოღვაწე დათო მორჩილაძეს და ფირმა „დიოს“ ხელმძღვანელ ირმა დაუშვილს შევთავაზე. ტენდერი გამოცხადდა და „ნუნისი“ შევისყიდეთ, სადაც პირველად კანალიზაცია გავაკეთეთ, კოტეჯები არ დავანგრიეთ, რადგან ახლის აშენების სახსრები არ გვქონდა, მაგრამ გავარემონტეთ. ყველაფერი ნულიდან დავიწყეთ, საბაგიროც კი აღვადგინეთ, რომელსაც ათეულობით წელი არ ემუშავა... 2002-დან 2005 წლამდე კურორტ „ნუნისის“ გენერალური დირექტორი ვიყავი და, პრაქტიკულად, იქ ვცხოვრობდი. ეს ჩემს ცხოვრებაში ძალიან ბედნიერი და საინტერესო წლები იყო. საერთოდ, როცა საქმეს აკეთებ და შედეგს ხედავ, ძალიან გსიამოვნებს... ისე მოხდა, რომ 2005 წლიდან, განათლების მენეჯმენტის საკითხებითაც დავინტერესდი. მალე საკურორტო ბიზნესის სფეროდან წამოვედი და მტკიცედ გადავწყვიტე, რომ განათლების მენეჯმენტში გადავსულიყავი.“

სწორედ იმ დროს, როცა კახაბერი თავიდან ბოლომდე კურორტ „ნუნისის“ აღორძინებითაა დაკავებული, თსუ-ს რექტორად რუსუდან ლორთქიფანიძე ინიშნება, რომელსაც ურჩევენ, თუკი უნივერსიტეტის ფეხზე დაყენება გინდა, გვერდით კახაბერ კორძაია დაიყენე, რომელსაც განათლების სისტემაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და მენეჯმენტშიც ძალიან კარგად ერკვევაო. რუსუდან ლორთქიფანიძე რჩევას ითვალისწინებს და... ხუთკაციან ჯგუფს ქმნის, რომელიც მუშაობას თსუ-ს განვითარების კონცეფციაზე იწყებს...

კახაბერ კორძაია: – ვინაიდან სასწავლო სფეროში კარგად ვერკვეოდი და, ამავე დროს, მენეჯერის მრავალწლიანი გამოცდილებაც მქონდა (მეორე სპეციალობით ფინანსისტი ვარ), ქალბატონმა რუსუდანმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა, ანუ კანცლერობა შემომთავაზა. საქმეს დიდი ენთუზიაზმით შევუდექი და ყველას, ვინც მაშინ მუშაობდა, ახსოვს, იმ ერთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტზე – პროგრამების განვითარებიდან დაწყებული, პროფესორების კეთილდღეობით დამთავრებული – როგორი რუდუნებით ვზრუნავდით. თანდათან აღმოჩნდა, რომ ქალბატონი რუსუდანი პრინციპულად არ ეთანხმებოდა განათლებისა და მეცნიერების მაშინდელი მინისტრის პოზიციებს მთელ რიგ საკითხებში. ქალბატონმა რუსუდანმა და მთელმა ჩვენმა გუნდმა უარი განაცხადა იმ ცვლილებების გატარებაზე, რის გამოც უნივერსიტეტი დღემდე ვერ გამოდის კრიზისიდან. ქალბატონი რუსუდანი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მის ნაცვლად გიორგი ხუბუა დაინიშნა. რამდენიმე დღეში ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანებაც დაიწერა. მოგვიანებით, გიორგი ხუბუა მიხვდა, რომ სამეურნეო დარგი თავზე ენგრეოდა და კანცლერად დაბრუნება შემომთავაზა, მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეს საკითხი არ შეითანხმა...“

***– ბატონო კახა, პოლიტიკა რამდენუცნობიანი განტოლებაა?***

– პოლიტიკა მრავალუცნობიანი განტოლებაა!

***– და ამ მრავალუცნობიან განტოლებაში თქვენ „X“ ხართ თუ „Y“?***

– მნიშვნელობა არც „X“-ს აქვს და არც – „Y“-ს, რადგან ყველა ცვლადი ერთნაირია. ისე, პოლიტიკა მათემატიკას კი არა, უფრო ჭადრაკს ჰგავს – ჭადრაკისა არ იყოს, თუკი პოლიტიკაში ხუთ-ექვს სვლას გამოთვლი, ესე იგი, მაგარი ხარ და ყველაფერი კარგად იქნება!

ჩვენში დარჩეს და, სტუდენტობამდე კახაბერ კორძაია, თურმე, ჭადრაკს თამაშობდა და რამდენიმე თანრიგიც აქვს. ასე რომ, სწორი სვლის გაკეთება არც პოლიტიკის დაფაზე გაუჭირდება და მაჟორიტარად არჩევის შემდეგაც, თავის სადეპუტატო გეგმას რეალობად აქცევს. ეს გეგმა კი ასეთია: განათლების გრძელვადიანი ეროვნული კონცეფციის შექმნა; ქართველოლოგიური მეცნიერებების განვითარებისთვის მაქსიმალური ხელშეწყობა; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა, ქართული ადათ-წესებისა და ტრადიციების ხელშემწყობი კანონების მიღება; სპეციალური ფონდების დაარსება, საიდანაც ნიჭიერი სტუდენტების სწავლა დაფინანსდება; სოციალური საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება – სახელმწიფომ ბიზნესიც და სოციალური პროგრამებიც პარალელურად უნდა განავითაროს; სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4 პროცენტი გამოიყოფა, რომლითაც, მინიმუმ, 8 ათას ოჯახს ბიზნესის დაწყების საშუალება მიეცემა. საამისოდ 8-წლიანი, 20-დან 80 ათას ლარამდე სესხი ყოველგვარი გირაოსა და გარანტიის გარეშე გაიცემა; მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მინიმალური ფიქსირებული გადასახადების შემოღება; გლეხებისთვის მიწის ნაკვეთების საკუთრებაში დაკანონება; ხელმოკლე ოჯახებისთვის ბინების აშენება, რისთვისაც ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 2 პროცენტი გამოიყოფა და 4000 ოჯახს ბინა საკუთრებაში გადაეცემა; ახლად შექმნილი ოჯახებისთვის ბინების გრძელვადიანი განვადებით (30-40 წელი) გადაცემა; მუნიციპალური საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების შექმნა, რომლებიც მოსახლეობას სრულიად უფასოდ და ყოველგვარი დაზღვევის გარეშე მოემსახურებიან. პარალელურად, კერძო სადაზღვევო სისტემისა და ფასიანი სამედიცინო დაწესებულებების ხელშეწყობა-განვითარება; მამაკაცთა საპენსიო ასაკის 60 წლით განსაზღვრა, ქალბატონების – 55 წლით; პენსიაზე გასვლა სავალდებულო კი არა, ნებაყოფლობითი უნდა იყოს; მეანაბრეებისა და იპოთეკარებისთვის დავალიანების 10-წლიანი გრაფიკის შედგენა...

# რა სიახლეებს სთავაზობს განათლების სამინისტრო პროფესიული განათლების მიღების მსურველებს

**პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია, რომელიც 3 ოქტომბერს დაიწყო, 16 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება. პროფესიის შეძენის მსურველებს რეგისტრაციის გავლა მხოლოდ პირადობის მოწმობით შეუძლიათ და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში, სახელმწიფოსგან სრულ დაფინანსებას მიიღებენ.**



როგორც ცნობილია, პროფესიული განათლება არა მხოლოდ სამინისტროს, არამედ ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამიტომ, პროფესიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლიდან უმნიშვნელოვანესი ეტაპი იწყება – 150-ზე მეტი პროფესიიდან, 50 ახალი, მოდულური, ანუ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არის შემუშავებული. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ დაინერგა სწავლების დუალური მეთოდი, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტების შერჩევის პროცესში და შემდეგ, სწავლებაშიც, დამსაქმებლები თავად იქნებიან ჩართულნი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის, ქეთევან ნატრიაშვილის თქმით, ეს არის პირველი ოფიციალური და სისტემური მცდელობა, რომ დამსაქმებელი, პროფესიული განათლების პროცესში, თანაბარუფლებიანი პარტნიორი იყოს, ანუ პირველად ხდება პასუხისმგებლობების, როლებისა და ფუნქციების თანაბარი გადანაწილება, რაც უმნიშვნელოვანესია. უფრო კონკრეტულად, დუალური მეთოდი ნიშნავს, როდესაც სტუდენტი შესაბამის ცოდნას პროფესიულ სასწავლებელშიც იღებს და გარკვეულ უნარებს საწარმოშიც ეუფლება. ძირითადი აქცენტი გადატანილია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ანუ სასწავლო პროცესი პარალელურად მიმდინარეობს სასწავლებელშიც და საწარმოშიც, რომელშიც კომპანიის გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტები არიან ჩართულნი.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, დაინტერესებული კომპანიების რაოდენობა მზარდია. თუ 2013 წელს, როდესაც მოდულური მეთოდით სწავლება დაიწყო, კერძო სექტორი სამინისტროსთან პრაქტიკულად არ თანამშრომლობდა, დღეს ვითარება შეცვლილია. იმ პროგრამებშიც კი, რომელიც დუალური მიდგომით არ ისწავლება, დანერგილია მოდულური მიდგომა, გაძლიერებულია პრაქტიკული სწავლებისა და გამოცდილების კომპონენტი.

ქეთი ნატრიაშვილი: „დამსაქმებელი ჩართულია ამ პროცესებში. ვფიქრობ, სწორედ ასეთი, ერთობლივი ძალისხმევით, შეგვიძლია გავიდეთ შედეგებზე და ქვეყანას ჰქონდეს პროფესიონალების რესურსი. სისტემურად, პირველად იწყება საქართველოში დუალური მიდგომით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. ეს იქნება მეღვინეობის, მეცხოველეობის, მეხილეობის მიმართულება. ამ სფეროების თითქმის ყველა მსხვილი კომპანია მზადაა პარტნიორები იყვნენ. ამ პროცესებში მხარს გვიჭერს შვეიცარიის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო, გაერო-ს განვითარების ფონდი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობისა და დახმარების სააგენტო. მათი ექსპერტები თანამშრომლობენ ჩვენთან, რომ სწორად დავინახოთ, როგორია ევროპული გამოცდილება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ მოდელის ადაპტირება სწორედ ჩვენი ქვეყნის სპეციფიკისა და რეალობის შესაბამისად ხდება“.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, საბოლოო მიზანი ის არის, რომ ქვეყანაში კვალიფიციური კადრებით დასაქმების პრობლემა აღარ იდგეს. შესაბამისად, დარწმუნებულნი არიან, რომ დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იქნება, რადგან სწავლის ეს მოდელი სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, პოტენციური დამსაქმებელი განათლების პროცესშივე გაიცნოს. დამსაქმებელი თავად აკვირდება, როგორ სწავლობს, მუშაობს, იზრდება და ყალიბდება ესა თუ ის კადრი მისსავე კომპანიაში.

ქეთი ნატრიაშვილი:

– დასაქმების კუთხით წინსვლა გვაქვს. ყოველწლიურ კვლევას ვატარებთ და ვაკვირდებით, როგორ და სად საქმდებიან ჩვენი კურსდამთავრებულები. 2013 წლის დასაწყისისთვის, სახელმწიფო აუდიტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა 35% საქმდებოდა. მას შემდეგ, საკმაოდ ინტენსიური სამუშაოები ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების, პროცესში დამსაქმებლის ჩართვის მიმართულებით. 2013 წელთან შედარებით, 2,5%-ით არის გაზრდილი კურსდამთავრებულთა მიერ სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების მაჩვენებელიც. ასევე, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შრომის ბაზრის მოკვლევასთან დაკავშირებით, რის მიხედვითაც, დგინდება ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები. მათგან შეიძლება გამოვყოთ, მაგალითად, კომპიუტერული მიმართულების პროგრამები, ბუღალტერია, ტურიზმი, სამშენებლო მიმართულებები... კარგია, რომ ჩვენი დაკვირვებით, აპლიკანტები სოფლის მეურნეობის მიმართულებითაც უფრო და უფრო ინტერესდებიან.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ დღეს დაფარვა გვაქვს ყველა რეგიონში. პროფესიული სასწავლებელი – კოლეჯი ან უნივერსიტეტი ყველა რეგიონშია. მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა. ვცდილობთ, არსებულ სასწავლებლებს ჰქონდეთ ე.წ. ფილიალები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. ამ ეტაპზე უკვე გვაქვს რეაბილიტირებული სასწავლო კორპუსები დამატებით 8 მუნიციპალიტეტში. გვაქვს სამი ახალი სასწავლებელიც, რომლებიც იწყებენ ფუნქციონირებას და სტუდენტების მიღებას წელს: გუდაურში სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა, რომელსაც ძალიან საინტერესო პროგრამები აქვს ამ მიმართულებით; მცხეთაში, წინამძღვრიანთკარის კოლეჯი და ავტორიზაცია გაიარა საჯარო სკოლამაც აგარაში. რაც შეეხება დუალური მიდგომით პროგრამების განხორციელებას, 4 კოლეჯია ჩართულია – წინამძღვრიანთკარში, სენაკში, ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებელი, კაჭრეთსა და ახალციხეში. ამ სასწავლებლებში მსურველებს დარეგისტრირება შეუძლიათ მეღვინეობა, მეცხოველეობა, მეხილეობის მიმართულებებზე.

მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ ცვლილებების შედეგად, დამსაქმებელი წელს პირველად ერთვება თვითონ სტუდენტების შერჩევის პროცესშიც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მასში დამსაქმებელმა გარკვეული ინვესტიცია უნდა ჩადოს.

სამინისტროში ხაზს უსვამენ, რომ სახელმწიფო აგრძელებს მოწყვლად ჯგუფებზე ზრუნვას. დევნილთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, მოქმედებს სპეციალური პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, სოციალურად დაუცველ, დევნილ მოქალაქეებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან პროფესიული განათლებით, აუნაზღაურდებათ ტრასპორტირების ან საცხოვრებელი ფართის ხარჯები.

სიახლეა არაქართულენოვანი მოსახლეობისთვისაც – შესაძლებელია, არაქართულენოვანმა პირმა, პროფესიული ტესტირება გაიაროს რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე, შემდეგ კი ის გაივლის ქართული ენის სოციალურ მოდულს, რომლის დამსახურებითაც, პროფესიულ პროგრამაზე სწავლას ქართულად გააგრძელებს. გრძელდება მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა პროფესიული მომზადების მოკლევადიანი პროგრამები. 2015 წლის ბოლოს 500-ზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა აღნიშნული მომსახურებით.

როგორც ირკვევა, დღეს თითქმის ყველა კოლეჯს განახლებული, ახალი სტანდარტებისა და პროგრამების შესაბამისი გარემო აქვს, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვისაც. მუშაობა მიმდინარეობს მასწავლებლის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზეც – პედაგოგები ტრენინგებს მაღალტექნოლოგიურ საწარმოებში გადიან.

**ნინო ჩხენკელი**

# მამუკა გვაძაბიამ ვაშაძის პარტია დატოვა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***– რა საკითხებზე თანხმდებოდით?***

– პოლიტიკურ საკითხებზე, როგორიცაა საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები.

***– უახლესი ისტორიის რა საკითხს გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების პერიპეტიებს. ჩემთვის, როგორც აფხაზეთიდან დევნილისთვის, უპირველესია ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. საერთოდ, ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, პარტიას არანაირი ხედვა არ გააჩნია. ტერიტორიული მთლიანობის საკითხი აქტუალურად არ მიაჩნია.

გამიკვირდა, რომ აბსოლუტურად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოზე. ეს ჩემთვის აღმოჩენა იყო. მეგონა, რადგან პარტიას აფუძნებდა, სერიოზული მომზადებული იქნებოდა. აღმოჩნდა ორი-სამი ლიდერი და ორი-სამი ძმაკაცი, რომლებიც ყოველგვარი გამჭვირვალობის გარეშე განაგებდნენ როგორც ფინანსურ, ისე სხვა საკითხებს. კარგი სპეციალისტები მივიყვანე, კარგი ეკონომიკური და განათლების სისტემის დოქტრინით, მაგრამ არანაირი ყურადღება ამისთვის არ მიუქცევია.

***– თქვენ პარტიის პირველ რიგებში იყავით. ფაქტობრივად, პარტია თქვენ და ვაშაძემ დააფუძნეთ, მაგრამ არ ხართ საპარლამენტო სიაში. რატომ?***

– მე ძირითადად მაინტერესებდა, პარტიას გარკვეული პოზიცია დაეჭირა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ.

***– დეპუტატობა არ გინდოდათ?***

– მე ეს საკითხი არ დამისვამს. ისე, პარტიაში აღმოჩნდა ისეთი პიროვნება, რომელიც პირდაპირ ლობირებდა ე.წ. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურებს. როდესაც რაღაც განცხადების გაკეთებას დავაპირებდი და ერთ დღეს ვაშაძეს რაღაცას ვუთანხმებდი (თანახმა იყო), მეორე დღეს ვიღაცასთან კონსულტაციას გაივლიდა და აზრს შეიცვლიდა. გარდა იმისა, რომ პარტია აბსოლუტურად გაუმჭვირვალე და მოუმზადებელი იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრებისთვის. თვითონ ლიდერი ვაშაძეც არ გახლდათ დამოუკიდებელი.

***– ვისთან იყო დაკავშირებული?***

– დღეს 100%-ით დარწმუნებული ვარ და ვიცი, რომ პირდაპირი კავშირები მიხეილ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას გააჩნია ვაშაძესთან. სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას აწყობთ ვაშაძის ყოფნა ბურჭულაძის ბლოკში, ამას წყალი არ გაუვა.

***– ანუ ერთ თამაშს თამაშობენ?***

– რაც გინდათ, დაარქვით. მე დარწმუნებული ვარ, რომ ვაშაძე ნაცმოძრაობის ინტერესებს გამოხატავს. ვაშაძე ნაცმოძრაობის ინტერესების გამომხატველია იმ ბლოკში, რომლის ლიდერმა, დიდმა მომღერალმა და მსოფლიო ბანმა იამაყა, რომ მას რუსი ბანი უწოდეს. ამიტომ მორალურად ჩემთვის იმ ბლოკში ყოფნა ისედაც მიუღებელია.

***– ბურჭულაძეზე ამბობთ?***

– დიახ. ბურჭულაძემ თქვა, ვამაყობ, რომ მსოფლიოში რუს ბანს მიწოდებენო. მარტო ეს იყო საკმარისი იმისთვის, რომ ვაშაძე-ბურჭულაძის ბლოკი დამეტოვებინა.

ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საზოგადოებაში ფართოდ იყო აჟიტირებული, პარტიის პრაიმერის თემაა. პრაიმერის თემაზე პრეზენტაცია მოეწყო „ქორთიარდ მერიოტში“. ოკუპირებული ტერიტორიიდან რამდენიმე პიროვნებაც კი ჩამოვიყვანე სპეციალურად ამ ღონისძიებაზე დასასწრებად.

***– პრაიმერი არ ჩატარებულა?***

– არავითარი პრაიმერი არ ჩატარებულა. პარტიას ჰყავდა წინასწარ აკვიატებული ლიდერი, რომელსაც ეძლეოდა ფული და რამდენი კანდიდატურაც უნდა წამოეყენებინა სხვა, იმ წინასწარ შეთანხმებულ პიროვნებაზე იხარჯებოდა სახსრები. მაგრამ როდესაც ვაშაძეს რაღაც გაუჭირდა, პაატა ბურჭულაძის ბლოკთან მიერთების განცხადება გააკეთა.

***– რა გაუჭირდა?***

– არ ვიცი. უბრალოდ ვიცი, რომ ეს უშუალოდ ნაცმოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის ინტერესებში შედის.

***– დააშანტაჟეს?***

– ვერ ვიტყვი, შანტაჟია თუ სხვა რამ, მაგრამ 100%-ით ვიცი, რომ ეს ნაცმოძრაობისა და სააკაშვილის ინტერესში შედის ვაშაძისა და მისი პარტიის ბურჭულაძის ბლოკში ყოფნა.

***– ეჭვი მაქვს, რომ თქვენ ბურჭულაძე-ვაშაძის ბლოკში უფრო მეტი გაიგეთ მათი ზრახვების შესახებ, ვიდრე ამბობთ.***

– ზრახვები კიდევ გამოჩნდება. მე ვტოვებ როგორც ბლოკს, ისე პარტიას. ჩემთვის მიუღებელია იქ ყოფნა.

დღეს ნაცმოძრაობის დესტრუქციული ქმედებების ექო ჩემამდე მოდის. რის გაცხადება და გაკეთებაც ამ მომენტში მე შემიძლია, ეს არის.

***– რას გულისხმობ დესტრუქციაში?***

– არჩევნების წინ უკვე ტყვიაც გავარდა და აფეთქებაც მოხდა.

***– თქვენ გენიშნათ ნაცმოძრაობის დესტრუქციული ქმედებები?***

– დიახ.

***– თარგამაძის მანქანის აფეთქებაზე გამახსენდა 1991 წელს უზენაესი საბჭოს დეპუტატ გელა ჩორგოლაშვილის მანქანის აფეთქება. წლების შემდეგ გელა ჩორგოლაშვილმა ჩემთან ინტერვიუში განაცხადა, მისი მანქანა სპეციალურად იმ ძალებმა ააფეთქეს, ვისაც უნდოდა გამსახურდიას წინააღმდეგ საზოგადოების აღელვება და გადატრიალების მოწყობა. თქვენ რაში დაინახეთ დესტრუქციული ქმედებები?***

– ძალიან მძიმე შეკითხვაა. აფეთქებასთან დაკავშირებით პირდაპირ ხელის დადება არ შემიძლია, სამართალდამცავებმა და ხელისუფლებამ უნდა გამოიძიონ, აფეთქება ვინ მოახდინა, ვის ინტერესებში შედიოდა, მაგრამ არ გამოვრიცხავ, სხვა ქვეყნის ინტერესშიც შედიოდეს.

***– თქვენი აზრით, ვის ინტერესებში შედის ასეთი ძალადობრივი ქმედებები?***

– საქართველოში პრობლემების რევოლუციური განვითარება არ უნდა აწყობდეს ჯანსაღ ადამიანს. ამ ეტაპზე რევოლუციურად მოვლენების განვითარების არანაირი საფუძველი არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ბევრი რამ, რაც ჩემთვის პრიორიტეტია, ვერ გააკეთა, ეს ამ არჩევნებზე რევოლუციური სცენარით მოვლენების განვითარების საბაბს არ იძლევა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# დონალდ ტრამპი: „მე რუსეთის თვითმფრინავებს ჩამოვაგდებ!

აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა პოზიცია კვლავ შეიცვალა. პუტინისადმი დიფირამბებიდან ის აშკარა მუქარაზე გადავიდა.

— რუსეთმა სირიასთან დაკავშირებული შეთანხმება დაარღვია! აუცილებელია აქტიური მოქმედება. თუკი პრეზიდენტად ამირჩევთ, პირობას გაძლევთ, რომ რუსულ თვითმფრინავებს ჩამოვაგდებ! — განაცხადა ტრამპმა.

ამავე დროს, პრეზიდენტობის კანდიდატმა ობამას ადმინისტრაციასაც გაჰკრა კბილი.

— პუტინი ასე თავხედურად იმიტომ იქცევა, რომ ობამა სუსტია! ამისთანებს კი პატივს არ სცემენ, — ამბობს ტრამპი.

სენატორმა მაკეინმა კი განაცხადა, რომ სირიაში უფრო აქტიური მოქმედებებია აუცილებელი. ასადი და პუტინი ომს არ აცხადებენ, მაგრამ მშვიდობიანობის პერიოდში ისე იქცევიან, როგორც ომის დროს.



— ამას საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს! მსოფლიო აშშ-საგან აქტიურ მოქმედებას მოელის, — განაცხადა მაკეინმა.

სენატორმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ამერიკა რუსეთის თვითმფრინავების ჩამოსაგდებად მზად



უნდა იყოს, თუმცა ეჭვი ეპარება, რომ საქმე აქამდე მივიდეს.

— რუსს არაყი და როზგი უყვარს, ამიტომაც მხოლოდ ძალის ენა ესმის! როგორც კი მათ თვითმფრინავებს ვაიძულებთ დაჯდომას, დაბომბვებიც შეწყდება, — ამბობს მაკეინი.



# რომან სოშჩენკოსთან ადვოკატი შეუშვეს

მოსკოვში დაპატიმრებულ უკრაინელ ჟურნალისტ რომან სოშჩენკოსთან ბოლო-ბოლო ადვოკატი შეუშვეს. ჟურნალისტს მარკ ფეიგინი დაიცავს, რომელიც მანამდე ნადეჟდა სავჩენკოს იცავდა.

— სოშჩენკო წაყენებულ ბრალდებას უარყოფს, — განაცხადა ფეიგინმა.

თანახმად ადვოკატის ინფორმაციისა, ფსბ სოშჩენკოზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებს. კერძოდ, რუსმა ჩეკისტებმა უკრაინელ ჟურნალისტს შესთავაზეს: ან არარსებულ დანაშაულს აღიარებს და მაშინ პირობითი სასჯელით გადარჩება, ან სიცოცხლის ბოლომდე ციხიდან ვერ გამოვა.

— მას პირდაპირ უთხრეს, მნიშვნელობა არ აქვს, მართლა მზვერავი ხარ თუ არა. გინდა თავისუფლებაზე გახვიდე? გააკეთე, რასაც გეუბნებით! არა? მაშინ შენს თავს დააბრალე, რაც დაგემართებაო, — აცხადებს ფეიგინი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კალეიდოსკოპი

# როიალ ჰიუსმენი თავის ისტორიაში ყველაზე დიდ იახტას აგებს



ჰოლანდიური კომპანია როიალ ჰიუსმანი თავის ისტორიაში ყველაზე დიდ იახტას აშენებს. კომპანიამ ახალი ელიტური ხომალდი მონაკოში გამართულ იახტშოუზე დააანონსა.

— მფლობელი ჩვენთან მოვიდა და გვითხრა: „თუ შეიძლება, ამიგეთ ჩემი ოცნების იახტა, და ჩვენც მუშაობას შევუდგებით, — განაცხადეს კომპანიაში. მათ შემკვეთის ვინაობა არ დაუსახელებიათ. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ის აზიელია.

პროჯექტ 400 2020 წლისთვის უნდა დასრულდეს და ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე იალქნიანი იახტა იქნება.

ხომალდის სიგრძე 81 მეტრი იქნება. პროჯექტ 400 ეკიპაჟის 13 წევრსა და 12 სტუმარზეა გათვლილი.

# ჰენრი ფონდას თაუნჰაუსი 10 მილიონად გაიყიდა



ჰოლივუდის მსახიობის ჰენრი ფონდას თაუნჰაუსი თითქმის 10 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ექვსსართულიანი აპარტამენტები 1878 წელსაა აშენებული. მისი ერთ-ერთი ადრინდელი მფლობელი აშშ-ს პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის შვილი კერმიტ რუზველტი იყო.

ფონდამ სახლი 1949 წელს შეიძინა. სწორედ ამ თაუნჰაუზში შედგა 1957 წელს მისი ქორწილი იტალიელ ბარონესა აფრედერა ფრანკეტისთან. თავად ფონდა 1982 წელს გარდაიცვალა.

აპარტამენტების საერთო ფართი 500 კვადრატულ მეტრს შეადგენს. სახლში რვა საძინებელი, სამზარეულო, ტერასაა. ტერიტორიაზე ასევე არის ბაღი.

თაუნჰაუსი გასაყიდად წლის დასაწყისში გამოიტანეს და მასში 12,45 მილიონი დოლარი მოითხოვეს. სახლის ახალი მფლობელი ნიუ-იორკელი დეველოპერია, რომლის სახელი გასაიდუმლოებულია.

# რეიკიავიკში ღამის განათება ჩრდილოეთის ციალმა ჩაანაცვლა



ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში ქალაქის ღამის განათება დროებით ჩრდილოეთის ციალმა ჩაანაცვლა. ქუჩის ღამის განათება ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით გამორთეს.

აქციის მიზანს სინათლის დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანა წარმოადგენს და ამით, რაც შეიძლება, უკეთესი პირობები შეიქმნას ჩრდილოეთის ციალის სანახავად.

ჩრდილოეთის ციალის დაწყებას 21.00-დან 22.00 საათის ფარგლებში ელოდებოდნენ და სწორედ ამ დროისთვის გადაწყვიტა ქალაქის ხელისუფლებამ გარე განათების გამორთვა. თუმცა ჩრდილოეთის ციალის საკმაოდ ნელი „სტარტის“ გამო, ქუჩის განათება შუაღამემდე არ ჩაურთავთ.

ამავე დროს, ისლანდიის პოლიციამ ჩრდილოეთის ციალზე დაკვირვების მსურველებს სიფრთხილისკენ მოუწოდა, რომ მასზე დაკვირვების დროს შუა ქუჩაში დგომა სახიფათოა.

რეიკიავიკის მცხოვრებლებმა და მისმა სტუმრებმა სოციალურ ქსელებში ჩრდილოეთის ციალის „შთამბეჭდავი ფოტოსურათები“ გამოაქვეყნეს.

# დუბაიში სოტბის არტ-გამოფენა გაიხსნა



აუქციონის სახლ სოტბის უმსხვილესი არტ-გამოფენა გაიხსნა დუბაიში, რომელიც ამ ქალაქში სოტბის ოფისის მუშაობის დაწყებას მიეძღვნა.

დამთვალიერებლებს საშუალება ეძლევათ იხილონ თანამედროვე ავტორების ნამუშევრები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიას წარმოადგენენ. ასევე გამოფენაზე წარმოდგენილია მუსულმანური სამყაროს უძველესი საგანძური. შემდგომში ექსპონატები გასაყიდად ლონდონში გამოიფინება.

კერძოდ, გამოფენაზე წარმოდგენილია აქატის ზარდახშა ემალითა და ძვირფასი ქვებით, ინდოეთიდან. მისი ფასი 30 ათასიდან 50 ათას ფუნტამდე მერყეობს.

მონღოლური ეპოქის ნახატი ცხენი და სამი მეჯინიბე 200-დან 300 ათას დოლარამდეა შეფასებული. XVII საუკუნის ოსმალური ხმლის ფასი 30 ათასიდან 50 ათას ფუნტამდეა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ფიფამ გულშემატკივართა გამო 11 ქვეყანა დასაჯა

ფიფა დიდ ყურადღებას აქცევს გულშემატკივართა ქცევას სტადიონებზე. ამის გამო, 2018 წლის მუნდიალის შესარჩევი ეტაპის მატჩებისას ფანების არასპორტული და დისკრიმინაციული საქციელის გამო 11 ქვეყნის ფედერაცია დასაჯა, სადაც ძირითადად ამერიკის ორივე კონტინენტის ქვეყნები ფიგურირებენ.

ჰონდურასი, ელ სალვადორი, მექსიკა, კანადა, ჩილე, ბრაზილია, არგენტინა, პარაგვაი, პერუ, იტალია, ალბანეთი – ეს იმ ქვეყნების ჩამონათვალია, რომლებსაც სასჯელის გამო სხვადასხვა რაოდენობის თანხის გადახდა მოუწევთ.

ჩილეს ნაკრებს საერთოდ სტადიონზე დასწრება აუკრძალეს და 2017 წლის 28 მარტს ვენესუელასთან მატჩს ის შემატკივრების გარეშე ჩაატარებს. ეს იყო ქომაგების ზღვარგადასული საქციელის გამეორება და ჩილეს ნაკრებიც ასე მკაცრად იმიტომ დაისაჯა.

ჰონდურასის გულშემატკივრების მხრიდან ორი პუნქტის დარღვევის გამო, ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია მკაცრად დაისაჯა და 65.000 შვეიცარიული ფრანკის გადახდა მოუწევს, ალბანეთს – 50.000, ელ სალვადორს – 45.000, იტალიას, მექსიკას და პერუს – 30.000. ბრაზილია 20.000 ფრანკით დაჯარიმდა, ხოლო არგენტინას 25.000-ის გადახდა მოუწევს.

# საბურთალომ მარტინი გაუშვა



საფეხბურთო კლუბ საბურთალოს ხელმძღვანელობამ, როგორც ეროვნულ ჩემპიონატში, ასევე საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებაში, გუნდის შედეგები არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კლუბსა და ესპანელ მწვრთნელ პაბლო ფრანკო მარტინის შორის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება.

გუნდს დროებით ლაშა ნოზაძე და დავით კევლიშვილი გაუძღვებიან, რომლებიც ესპანელი სპეციალისტის თანაშემწეები იყვნენ.

მარტინი საბურთალოს მიმდინარე წლის მარტში ჩაუდგა სათავეში და კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა. თბილისური გუნდი მიმდინარე სეზონში ეროვნულ ჩემპიონატში ჩატარებული 7 მატჩის შემდეგ 9 ქულით წითელ ჯგუფში მეოთხე ადგილზე იმყოფება, თასის გათამაშებას კი პირველი ეტაპიდან ხარაგაულის ჩხერიმელასთან მარცხის შემდეგ გამოეთიშა.

საფეხბურთო კლუბი საბურთალო მადლობას უხდის პაბლო ფრანკო მარტინის თანამშრომლობისთვის და მომავალში წარმატებებს უსურვებს.

# ბარსელონას მარტინსის შეძენა სურს



ბარსელონას მთავარი მწვრთნელი, ლუის ენრიკე ლისაბონის სპორტინგის თავდამსხმელით, იელსონ მარტინსით დაინტერესდა. ამ ინფორმაციას „ბლაუგრანას" სატრანსფერო კომისიის წევრი არიედო ბრაიდა ადასტურებს.

არიედო ბრაიდა:

– ჩვენ მარტინსს ვაკვირდებით და მომავალშიც ამას გავაკეთებთ. საუბარია ახალგაზრდა, ნიჭიერ თავდამსხმელზე. ბარსელონა ბრაზილიურ, იტალიურ, პორტუგალიურ, არგენტინულ, გერმანულ და ფრანგულ ფეხბურთში განვითარებული მოვლენების კურსშია. არიან მოთამაშეები, რომლებიც ძალიან მოგვწონს. ერთ-ერთი მათგანი იელსონია, მაგრამ ზამთარში მას არ შევიძენთ.

მიმდინარე სეზონზე ჩატარებულ 7 მატჩში მარტინსმა 2 გოლის გატანა შეძლო.

ასევე გავრცელდა ხმები, რომ ბარსას ტურინის იუვენტუსის თავდამსხმელის, პაბლო დიბალას გადაბირება სურს.

თავად არგენტინელმა განაცხადა, რომ ამჟამინდელი კლუბის დატოვებას არ აპირებს. უახლოეს მომავალში „ბებერი ქალბატონი" დიბალასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას გეგმავს.

პაბლო დიბალა:

– ის, რასაც გაზეთები ბარსელონაში ჩემს შესაძლო გადასვლაზე წერენ, უაზრობაა. სატრანსფერო ფანჯარა დახურულია და ვეცდები, იუვენტუსთან კონტრაქტი გავახანგრძლივო.

მიმდინარე სეზონში 22 წლის თავდამსხმელმა 8 მატჩი ჩაატარა, სადაც 2 საგოლე გადაცემის გაკეთება შეძლო.

# ვაისი სრული შემადგენლობით ემზადება

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა დუბლინის „მალაჰაიდ იუნაიტედის" სტადიონზე ორჯერადი ვარჯიში გამართა.

საწვრთნელ პროცესში უახლოესი მატჩებისთვის გამოძახებული 25



ფეხბურთელი მონაწილეობდა. სოლომონ კვერკველიამ, ლევან მჭედლიძემ, თორნიკე ოქრიაშვილმა და გიორგი მაკარიძემ, რომლებიც ნაკრებს გვიან შეუერთდნენ, გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშეს. დუბლინში შეკრებაზე მყოფი გუნდის თითოეული წევრი ჯანმრთელადაა.

მატჩი ირლანდიისა და საქართველოს საფეხბურთო ნაკრებებს შორის დღეს 22.45 წუთზე დაიწყება.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ საქართველოს ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობას:

**მეკარეები:** გიორგი ლორია (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო)

**მცველები:** უჩა ლობჟანიძე (დინამო თბ), ოთარ კაკაბაძე ( ხიმნასტიკი, ესპანეთი), სოლომონ კვერკველია (რუბინი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ლაშა დვალი (სლასკი, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა (ჩერნომორეცი, უკრაინა), გიორგი ნავალოვსკი (ვერია, საბერძნეთი), ზურაბ ცისკარიძე (ტეპლიცე, ჩეხეთი)

**ნახევარმცველები:** მურთაზ დაუშვილი (დიოშგიორი, უნგრეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ალექსანდრე კობახიძე (ვორსკლა, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), ვალერი ყაზაიშვილი (ლეგია, პოლონეთი), ჯაბა ჯიღაური, გიორგი პაპუნაშვილი, ლაშა პარუნაშვილი (ყველა დინამო თბ), ვალერი გვილია (ბატე, ბელორუსი)

**თავდამსხმელები:** დავით სხირტლაძე (სილკებორგი, დანია), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ვლადიმერ დვალიშვილი (დინამო თბ), გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია) ნიკა კაჭარავა (ეთნიკოსი, კვიპროსი).

# ახალგაზრდულ ნაკრებში ცვლილებებია

საქართველოს 21-წლამდე ნაკრები საფრანგეთის ქალაქ ლე ავრში ჩავიდა და პირველი ვარჯიშიც ჩაატარა.

გია გეგუჩაძის გუნდი დღეს, ფრანგებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. შეხვედრა ლე ავრის „სტად ოუშენზე" შედგება.

შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებაა: ნაკრებს ბოლო წამს გამოაკლდა მარტვილის მერანის ფლანგელი აკაკი შულაია. მის ნაცვლად მწვრთნელმა ქობულეთის შუქურადან რომან ჩაჩუა გამოიძახა.

ნაკრებთან ერთად ემზადება ფრანგული ოსერის ახალგაზრდული გუნდის ნახევარმცველი გიორგი ჯობავაც, რომელიც გუნდს საფრანგეთში შეუერთდა.

ეს იქნება პირველი მატჩი ევროშესარჩევი ციკლის დასრულების შემდეგ, რომლითაც გია გეგუჩაძის გუნდი ოფიციალურად იწყებს ახალი შესარჩევისთვის მზადებას და, შესაბამისად, ნაკრებში უკვე აღარ არიან 1994-95 წლებში დაბადებული ფეხბურთელები.



გია გეგუჩაძის განკარგულებაში შემდეგი ფეხბურთელები არიან:

**მეკარეები:** ლაზარე კუპატაძე (ლოკომოტივი), ბექა ქურდაძე (საბურთალო)

**მცველები:** გრიგოლ ჩაბრაძე, გაგი მარგველაშვილი, ცოტნე ნადარაია (ყველა საბურთალო), , გიორგი თევზაძე, ლუკა ლოჩოშვილი (ორივე დინამო თბ), ანრი ჭიჭინაძე (ტორპედო), ირაკლი კომახიძე, რომან ჩაჩუა (ორივე შუქურა)

**ნახევარმცველები:** სანდრო ალთუნაშვილი, ვლადიმერ მამუჩაშვილი, გიორგი ხარაიშვილი (ყველა საბურთალო), ოთარ კიტეიშვილი (დინამო თბ), გიორგი ბერიძე (გენტი, ბელგია), ლადო მოხევიშვილი (ალბასეტე, ესპანეთი), გიორგი ჯობავა (ოსერი, საფრანგეთი)

**თავდამსხმელები:** გიორგი ზარია (დინამო თბ), ლუკა ზარანდია (ლოკომოტივი), გაბრიელ საღრიშვილი (ტორპედო), რომან ჭანტურია (ემპოლი, იტალია).

# დემბელესთვის ტოპ-კლუბები იბრძოლებენ

მიუნხენის ბაიერნი, არსენალი და მადრიდის რეალი ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში



სელტიკის 20 წლის ცენტრალური თავდამსხმელის, მუსა დემბელეს, სატრანსფერო უფლებების შესაძენად იბრძოლებენ.

წარმოშობით ფრანგი ფეხბურთელი ფულემიდან დაბრუნების შემდეგ მთელი სეზონი ფანტასტიკურად თამაშობს, რაც ევროპის ტოპ-კლუბების ყურადღების მისაპყრობად საკმარისი აღმოჩნდა. მუსა დემბელემ მიმდინარე სეზონში სელტიკის მაისურით სულ 17 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, 12 გოლი გაიტანა და 1 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

თუ სელტიკი 20 წლის ფრანგი ფორვარდის გაყიდვას გადაწყვეტს, მის სანაცვლოდ საკმაოდ სოლიდურ თანხასაც მოითხოვს, თუმცა კლუბის ერთ-ერთი აქციონერი დერმონტ დესმონდი ამბობს, რომ სელტიკი ზაფხულში დემბელეს გაყიდვას არ იჩქარებს, რადგან ფინანსურად შოტლანდიურ კლუბს ყველაფერი წესრიგში აქვს.

**დერმონტ დესმონდი:**

– სელტიკი არის გუნდი, ერთი ოჯახი და ჩვენ ფეხბურთელების გაყიდვას არ ვაპირებთ. ვიმედოვნებთ, რომ დემბელეს შენარჩუნებას შევძლებთ, თუმცა ჩვენი მიზანი ისიც არის, რომ კლუბში მოთხოვნადი ფეხბურთელები გვყავდეს. სწორედ ეს არის ჩვენი ფეხბურთელების დონის კარგი ინდიკატორი.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

*საზოგადოება*

# 94 პროცენტი ჩინეთში საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლდება



— ქართული პროდუქციის დაახლოებით 94 პროცენტი ჩინეთში საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლდება. ორივე მთავრობის მიერ განხორციელებული ეფექტური სამუშაოს შედეგად, ჩვენ შევძელით და უმოკლეს დროში, 7 თვეში, დავასრულეთ მოლაპარაკებები ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე.

ამის შესახებ საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. დიმიტრი ქუმსიშვილმა ჩინეთის მხარეს მოლაპარაკებების მიმდინარეობისას გამოჩენილი კონსტრუქციულობისათვის მადლობა გადაუხადა.

პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, შეთანხმება მოიცავს ვაჭრობის ყველა სფეროს და ქმნის ეფექტურ ბაზისს ორი ქვეყნის მეწარმეებს შორის ურთიერთობების განვითარებისათვის, რაც ჩვენი რწმენით, მიმართული იქნება ჩინელი და ქართველი ხალხისათვის ეკონომიკური სარგებლის და კეთილდღეობის მოტანისაკენ.

— ჩინეთთან მიღწეული შეთანხმების შედეგად, ჩინეთში იმპორტისას ჩვენი პროდუქციის დაახლოებით 94 პროცენტი გათავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან. მათ შორის არის სოფლის მეურნეობიდან ისეთი მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქცია, როგორიცაა ღვინო, ბრენდები, თხილი, თაფლი, მინერალური წყალი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, ჯემები, წვენები, ყველანაირი ბოსტნეული, ხილი სრულად, შოკოლადის ნაწარმი, ჩაი, თევზი და სხვა ზღვის პროდუქტები, მარცვლეული და ასევე სამრეწველო პროდუქციებიდან სამკურნალო საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები, სარეცხის მანქანები, ფერო-სილიკომანგანუმი, ლოკომოტივები და ა.შ, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა.

დიმიტრი ქუმსიშვილის განმარტებით, საქართველოსა და ჩინეთს შორის ბოლო სამი წლის განმავლობაში ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. 2016 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, ჩინეთი საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის ბრუნვის მიხედვით მე-4 პოზიციაზეა, ხოლო ექსპორტის მიხედვით მე-3 ადგილზე, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 51%-ით და საქართველოს მთლიან ექსპორტის 9% შეადგინა.

პირველი ვიცე-პრემიერის ინფორმაციით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პროდუქციის ექსპორტის ზრდა, როგორიცაა: ღვინო, სპირტიანი სასმელები, ლუდი, მინერალური წყლები და სხვა. ჩინეთში ღვინის ექსპორტმა მიმდინარე წლის რვა თვის მონაცემებით 3 მლნ. ბოთლს გადააჭარბა, რაც 158%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს, სპირტიანი სასმელების ექსპორტი გაიზარდა 16-ჯერ, ხოლო ლუდის ექსპორტი 17-ჯერ.

**ინტერპრესნიუსი**

*სპორტი*

## დი მარია არგენტინის ნაკრებიდან წასვლას არ გამორიცხავს



პსჟ-ს არგენტინელმა ვინგერმა ანხელ დი მარიამ განაცხადა, რომ წაგებული კოპა ამერიკის ფინალის შემდეგ ის, ისევე როგორც მესი, ნაკრებიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა.

დი მარიას თქმით, ის ცოლმა და მამამ დაარწმუნეს, რომ ნაკრებში კარიერა უნდა გაეგრძელებინა. მიუხედავად ამისა, დი მარია ნაკრებიდან მაინც წავა თუ არგენტინა კიდევ ერთ ფინალს წააგებს.

— ვფიქრობ, სამ ფინალში ზედიზედ მარცხი ძალიან მძიმეა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის. კიდევ ერთი მარცხის შემთხვევაში ნაკრებიდან წავალ, — განაცხადა დი მარიამ.

## იუვენტუსს ივან რაკიტიჩის შეძენა სურს



ტურინის იუვენტუსს წლევანდელ ზაფხულს რამდენიმე ტრანსფერის განხორციელება აქვს დაგეგმილი. ტურინელების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ბარსელონას ხორვატი ნახევარმცველი ივან რაკიტიჩია, რომლის შეძენასაც იუვე ადრეც ცდილობდა. რაკიტიჩმა მაშინ ბარსელონაში დარჩენა ამჯობინა და, როგორც ჩანს, მას თავისი აზრი არ შეუცვლია.

ერთ-ერთ ინტერვიუში რაკიტიჩმა განაცხადა რომ ბარსელონაში ის ბედნიერია და სხვა კლუბში გადასვლას არ აპირებს.

აღსანიშნავია, რომ ხორვატი ნახევარმცველის შეძენა მანჩესტერ იუნაიტედსაც სურდა, მაგრამ მასაც არაფერი გამოუვიდა.

## პაოლო მალდინი მილანში ბრუნდება



მილანის ლეგენდარული ფეხბურთელი პაოლო მალდინი შესაძლოა თავის გუნდში დაბრუნდეს. მალდინის ტექნიკური დირექტორის თანამდებობას სთავაზობენ და პაოლომ ინტერვიუში განაცხადა, რომ შესაძლოა ამ წინადადებას დათანხმდეს, თუმცა მანამდე მას მილანის ახალ ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და დეტალების დაზუსტება სურს.

მალდინის თქმით, მას ჯერ კიდევ სჭირდება დრო იმისთვის, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს.

პაოლო მალდინიმ მილანის შემადგენლობაში 21 წელიწადი გაატარა და ამ ხნის მანძილზე გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო.

მალდინიმ ფეხბურთელის კარიერა 2009 წელს დაასრულა და მას შემდეგ მილანში არ დაბრუნებულა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

*კალეიდოსკოპი*

## ბეტმენის კოსტიუმი 192 ათასად გაიყიდა



ბეტმენის კოსტიუმი, რომელიც მსახიობ კრისტიან ბეილის ეცვა ფილმებში „შავი რაინდი" და „შავი რაინდი: ლეგენდის აღორძინება", 192 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. ის კოლექციონერმა შეიძინა, რომლის ვინაობა უცნობია.

აუქციონზე ასევე გაიყიდა მოტოციკლეტი ბეტპოდი, რომელშიც მყიდველმა 312 ათასი ფუნტი გადაიხადა. ამავე ფილმიდან ბოროტი პერსონაჟის ბეინის კოსტიუმი 96 ათას ფუნტად გაიყიდა.

კოსმოსური გამანადგურებლის პილოტის მუზარადში ფილმიდან „ვარსკვლავური ომები: ეპიზოდი 4. ახალი იმედი" 210 ათასი ფუნტი გადაიხადეს.

საერთო ჯამში, აუქციონის ორგანიზატორებმა 1,5 მილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტი მიიღეს (რაც მოსალოდნელი იყო), ვაჭრობაში კი 27 ქვეყნის 400 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

## ესპანეთში ცხენზე იოგა დაინერგა



ესპანეთში მსურველებს ცხენზე იოგას თავაზობენ. ეს ახალი ფენომენი ნამდვილად არ არის, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე ამხედრებული იოგათი დაკავება ან კერძოდ ხდებოდა, ან მოფარებულ ადგილებში.

ახლა უკვე ეს სერვისი დაინერგა ეკოკურორტ ლა დონეირაში, რომელიც ეროვნული პარკის სიერა-დე-გრასალემას მახლობლად მდებარეობს. ნომრის ღირებულება 280 დოლარს შეადგენს, ხოლო ერთსაათიანი პროცედურის ფასი ადამიანზე 65 დოლარია.

კურორტის ტერიტორიაზე ჰყავთ ლუზიტანოს ჯიშის 70 ცხენი, რომლებიც არა მხოლოდ იოგაში ვარჯიშში, არამედ სხვა პროექტებშიც მონაწილეობენ. მომავალი გაზაფხულიდან კი ცხენები დაუნის სინდრომიანი ბავშვების ახალი პროექტის მონაწილენი გახდებიან.

სწავლის დროს დამწყებებს მხედრული იოგათი დაკავება, ცხენზე აუმხედრებლადაც შეეძლებათ. მსურველებს სთავაზობენ სუნთქვის თავიანთ „პარტნიორებთან" სინქრონიზირებას, ცხენის მიწაზე საკუთარი პოზის სტაბილიზაციისთვის.

როგორც კურორტზე აღნიშნავენ, ასეთი იოგა არანაირად არ ნიშნავს ადამიანის ცხოველზე დომინირებას, და ეს უბრალოდ „ჯადოსნური კავშირია" ცხოველებთან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




## ასტროპროგნოზი
### 6 ოქტომბრისათვის



**ვერძი** — ნაყოფიერ მუშაობაში ხელს შურიანები და არაკეთილმოსურნეები შეგიშლიან. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა. **კურო** — გეგმები გულმოდგინედ შეიმუშავეთ. სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. **ტყუპები** — კომერციული ოპერაციებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. კოლექტიური მუშაობა შემოსავლის გაზრდის გარანტიაა. **კირჩხიბი** — შემოქმედებითი არეალის გაფართოებაზე ნუ იფიქრებთ. პირად ცხოვრებაზე იზრუნეთ. **ლომი** — ნებისმიერ ერთობლივ პროექტზე მუშაობისას ყურადღებით იყავით. დიდია მოტყუების ალბათობა. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** — საქმიან პარტნიორთან კონფლიქტია მოსალოდნელი. გაღიზიანებული ხართ. ნუ იჯიუტებთ. **სასწორი** — დღის პირველ ნახევარში ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. იყავით გულწრფელი და კეთილგანწყობილი. პოზიტივი გადამდებია. **ღრიანკალი** — სიტუაცია თქვენთვის სასარგებლო მიმართულებას მიიღებს. დაწყებული საქმე დაამთავრეთ. **მშვილდოსანი** — ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისას წინდახედულობა გმართებთ. მეგობრის რჩევა ძალზე წაგადგებათ. **თხის რქა** — გარშემომყოფებთან ურთიერთობისას უფრო მოქნილი და შორსმჭვრეტელი უნდა იყოთ. დღეს დაშვებული შეცდომა თქვენს სამომავლო გეგმებზეც აისახება. **მერწყული** — ერიდეთ აგრესიულ გარემოს. მოულოდნელი ინფორმაცია მოვლენებს დააჩქარებს. **თევზები** — სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ, თუმცა სასურველ მიზანს მაინც მიაღწევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 2. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 3. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 5. ნადირისგან დამცავი, ძაღლის ეკლიანი ყელსაბამი; 8. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების განადგურება რასობრივი ან ეროვნული ნიშნით; 12. ქალაქის ტიპის დასახლება; 13. გარემოსა და ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთდამოკიდებულების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 14. ერთ-ერთი კონტინენტი; 16. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 18. აღმოსავლური, ხის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი; 20. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში.

**თარაზულად:** 6. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 7. კოსმოდრომი იაპონიაში; 8. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 9. ყოველკვირეული ჟურნალი საქართველოში; 10. მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 11. „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურად მთარგმნელი; 15. ფასიანი ქალალდი; 17. ისტორიული კუთხე შავი ზღვის სანაპიროზე, ეგრისის სამეფოს ნაწილი; 19. ქალაქის თავი ჩეხეთში; 21. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 22. ლიმონათის, ხილის წვენების გაზავება ნახშირმჟავა აირით; 23. თეთრი მელას ძველებური სახელწოდება.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**




## წინა ნომრებში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ძოწი; 2. ვალსი; 3. ხმიადი; 5. არაყი; 6. გლიპტიკა; 8. „უსახელაური"; 10. ისტვუდი; 12. „ამსტელი"; 14. „მარიცა"; 15. „სამაია"; 16. სტუკო.

**თარაზულად**: 1. ძეწკვი; 4. ხაფანგი; 7. ფოლადი; 9. დევიზა; 11. კაქტუსი; 12. აკაპულკო; 13. „ავერსი"; 17. დრანდა; 18. კურუ; 19. ალპინიადა; 20. შიკოლონე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ტანკერი; 2. კაპუცინი; 3. ძეწკვი; 4. „ტოსკა"; 5. უილიამსი; 8. ფოლკლორი; 12. დუყი; 13. ციცერონი; 14. „ლინატე"; 16. ბაჯაღლო; 18. ლობიო; 20. ერბო.

**თარაზულად**: 6. „მალვაზია"; 7. „ევერტონი"; 8. ფატუმი; 9. ბერიო; 10. ცირეკიძე; 11. გარდნერი; 15. ჰიპერტონია; 17. ფინიკი; 19. ტელევიზია; 21. კოლომბო; 22. ციტოლოგია; 23. ტორნადო.

# გიორგი სუხიტაშვილი საავადმყოფოში მოხვდა



მომღერალი, თბილისის ბიგ ბენდის სოლისტი გიორგი სუხიტაშვილი საავადმყოფოში მოხვდა.

მას მენისკის ოპერაცია თბილისში მედიქლაბ ჯორჯიას სტაციონარში ჩაუტარდა. ამჟამად მომღერალი უკვე სახლშია გაწერილი და თავს კარგად გრძნობს.

გიორგი სუხიტაშვილის საავადმყოფოში გადაღებული ფოტოები სოციალურ ქსელში გავრცელდა. მომღერალმა თავისი გულშემატკივრები ასე დაამშვიდა:

– ყველაფერმა მაგრად ჩაიარა, მადლობა და ბოდიში, რომ დაგზაფრეთ ისინი, ვინც არ იცოდით...

# თინა მახარაძე: „შემეცოდება ხოლმე ჩვენი თავები“



მსახიობი თინა მახარაძე მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს ხელოვანებს და უცხოელ ხელოვანებს ერთმანეთს სოციალურ ქსელში ადარებს.

თინა მახარაძე:

– ჩემი უცხოელი მეგობარი არტისტების, რეჟისორების, მსახიობების, მხატვრების, მუსიკოსების, ფოტოგრაფების, დრამატურგების ფეისბუქ აქტივობებს ვაკვირდები ხოლმე: პოლიტიკური შინაარსის არც ერთი პოსტი, სოციალური კრიტიკის შემცველი არც ერთი სტატუსი. აკეთებენ თავიანთ საქმეს, სათქმელი თუ აქვთ რამე, საწუხარი უმეტესად პირადი ან წმინდა წყლის ადამიანური და გასაკრიტიკებელი, ისიც ნაკლებად და აქა-იქ, ამასაც თავიანთ საქმეში დებენ და მხოლოდ ამ საქმის პროცესისა და შედეგის ამსახველ ფოტო/ვიდეო მასალას აქვეყნებენ.

შემეცოდება ხოლმე ჩვენი თავები. იძულებულები რომ ვართ, გვერდით გადავდოთ ჩვენ-ჩვენი სამუშაო ინსტრუმენტები: კამერები, სცენარები, ფუნჯები, წიგნები, ყურსასმენები და დედა ვიგინოთ მარცხნივ-მარჯვნივ, იმიტომ, რომ ჩვენი საქმის მშვიდად კეთების დრო ჯერ არ დამდგარა. ღვთისმშობელი რომ დიდი ხნის წინ მოკვდა და ობლის კვერი რომ გვიან ცხვება, ეგ არის მთელი ჩვენი ამბის კონცეპტი და სინოფსისი.

## სამგლოვიარო განცხადებები

და მარინა ტატიშვილი, ძმა მერაბ ტატიშვილი, რძალი ლია ქანდარია, სიძე გიზო ოთარაშვილი, დისშვილები თამარ და გელა ოთარაშვილები, ძმისშვილები სოფიკო და ლელა ტატიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურამ ტატიშვილი**

პანაშვიდი: 6, 7 ოქტომბერს, ყაზბეგის პრ. 25ა.

გამოსვენება: 8 ოქტომბერს, 15 საათზე, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიიდან (სამედიცინო უნივერსიტეტთან).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 1950 წლის 156-ე ჯგუფის კურსდამთავრებულები: ლამარა მასხარაშვილი, მილიცა ნადირაძე, იამზე ფანცხავა, ადიკო გვალია, გია გიგიბერია, ანატოლი გეწაძე, ნოდარ მეძმარიაშვილი, ნოდარ ჩიბალაშვილი, თამაზ შარაბიძე და გუგა ჭოხონელიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უსაყვარლესი მეგობარი, შესანიშნავი ინჟინერ-მშენებელი, უკეთილშობილესი ქალბატონი

**ნათელა ქედია-ქინჭარაული**

დაკრძალვა: 6 ოქტომბერს, 14 საათზე.

მისამართი: ნუცუბიძის პლატო, III მიკრორაიონი, III კვარტალი, კორპუსი №10.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ვანდალიზმი განახლებულ აღმაშენებლის გამზირზე

მიუხედავად იმისა, რომ განახლებული აღმაშენებლის გამზირი რამდენიმე დღის წინ საზეიმოდ გაიხსნა, ახალ ტიფლისში ვანდილიზმი უკვე განხორციელდა.

ფოტოფაქტები ვანდალიზმთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ წარმოადგინა:

– კიდევ ერთხელ გავიარე ჩემთვის საყვარელ აღმაშენებლის პროსპექტზე და კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ რაც არ უნდა გააკეთოს მთავრობამ, მერიამ, სპონსორმა თუ უცხოელმა ინვესტორმა, ქალაქს თავად მოსახლეობამ თუ არ უპატრონა, არასოდეს არაფერი გამოვა! შთაბეჭდილებებს ფოტოფაქტებით გაგიზიარებთ.

1912 წლის შენობა, საუცხოო არქიტექტურა, აღმაშენებლის პირველი რეაბილიტაციის დროს გაკეთდა. სამაგიეროდ, მესამე სართულზე მაცხოვრებელი მივიდა და მთავარ ფასადზე კედელი გამოამტვრია და გასათბობი მილი ჩაამონტაჟა, სულ ფეხებზე დაიკიდა შენობის ისტორიული ფასადიც და ლამაზი კარნიზის მომტვრევის საკითხიც!

რკინიგზელთა სასწავლებელი, ისიც აღმაშენებლის პირველი რეაბილიტაციის დროს გაკეთდა, როგორც ვხვდები ეკუთვნის რკინიგზას, შენობაში განთავსებულია „თიბისი ბანკი“ და „იოლი“. ქარმა ჟოლობი მოშალა და აგერ უკვე ნახევარი წელია ამ ძვირფასი შენობის კუთხე ლპება! არადა სულ 100 ლარია საჭირო ამ საქმისთვის, სამაგიეროდ, რომ გაფუჭდება და ნგრევას დაიწყებს, მერე ფრიად ძვირი დაჯდება! გასტრონომ „იოლის“ შესასვლელია, თუმცა ამ მდიდარი ორგანიზაციის მფლობელს ეს საკითხი არ ადარდებს!

ჩემი საყვარელი შენობა აღმაშენებელზე, კომპოზიტორთა სახლი, ზუსტად ერთი წელია ვილაცამ შენობის მთავარ ფასადზე ჟოლობებს ორივე ძირი გამოაცალა და ზუს-



ტად ერთი წელია ამ უნიკალურ ფასადს ზამთარ-ზაფხულ სახურავიდან ჩამოსული წყალი ესხმება, ბოძებმა და ფასადმა უკვე დაშლა დაიწყო. შენობა გაქირავებულია – ღამის ბარი და რესტორანია აქ, ამიტომ ვერ ვხვდები, რა გაუხდა შენობის მეპატრონეს ამ ჟოლობების შეკეთება!?

არ შეიძლება ქალაქის ერთ-ერთ მთავარ პროსპექტზე წერო და ატყლეპო შენობებს ყველაფერი, რაც შენ მოგესურვება, უნდა არსებობდეს აზრების განთავსების ერთიანი სისტემა, გული მეტკინა იმაზე, რომ ეს პროცესი დაწყებულია ახლად რეაბილიტირებული პროსპექტის მონაკვეთზეც, სულ ბოლო ფოტოც ახლად რეაბილტირებული პროსპექტიდანაა: მთავრობამ და მერიამ გაუპრიალა, გაუზიზინა სახლი ბინადარს, ის კი მივიდა და ზედ ფანჯარაზე, მზისგან საჩრდილობლად, ბრეზენტის მსგავსი ძონძი დაკიდა!

აი, ამას უყურებს ასობით ტურისტი თუ ადგილობრივი მაცხოვრებელი, ამას ვერც გაჭირვებით და ვერც უფინანსობით ავხსნი, ეს, უბრალოდ, უკულტურობაა! დასკვნის სახით ვიტყვი, რომ არ შეიძლება ქალაქს მხოლოდ მერია და მთავრობა პატრონობდეს, იგივე უნდა გააკეთოს მოსახლემ და შენობის მფლობელმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ერთი მთავრობა, ვერასდროს ვერ მისცემს ქალაქს სათანადო იერსახეს, დღეს დავდიოდი უმშვენიერეს ახალ ტფილისში და ვფიქრობდი:

რა გამოვა, თუ ამ ულამაზეს ქოთნებს, ყვავილებს, ფასადებს, ლამპიონებს მოსახლეობამ არ მიხედა!? ეს იქნება დიდი გულისტკივილი, ამიტომ მერიას ვთხოვ, დააწესოს უმკაცრესი რეგულაციები ასეთ თემებზე, განსაკუთრებით ახლად რეაბილიტირებულ უბნებში, მოსახლეობამ უნდა ისწავლოს ქალაქის მოვლა. ჟურნალისტებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა კი ამ თემებს მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ, არ შეიძლება ყველაფერს ხელისუფლებას სთხოვდე! სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ სრულად მინდოდა მეთქვა სათქმელი!

# მარიამ როინიშვილს შეურაცხყოფა მიაყენეს



საოპერო მომღერალს მარიამ როინიშვილს შეურაცხყოფა მიაყენეს. ამის მიზეზი გადაცემა „არჩევანში“ მისი გამოჩენა გახდა, სადაც ის მამის, გია როინიშვილის მხარდასაჭერად მივიდა. მომღერლისთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა მის მიმართ აგორებული აგრესია, რომ მან სპეციალური მიმართვაც გაავრცელა.

**მარიამ როინიშვილი:**

– 90-იან წლებში დავიბადე! რაც თავი მახსოვს, საქართველოში სულ არის ერთმანეთის ზიზღი, დაპირისპირებები, მტრობა...

საბედნიეროდ, ოჯახში მასწავლიდნენ სიყვარულს, ურთიერთგატანას, გვერდში დგომას, სხვისი წარმატების წრფელად გახარებას, ჯანსაღი ტრადიციების პატივისცემას, მათ შორის დედაშვილობისა და მამაშვილობის განსაკუთრებულ თაყვანისცემას, რაც ძალიან მეხმარებოდა, იმ ქაოსის სწორად აღქმას, რაც უკვე დავწერე....

დღეს კი პირველად დავუსვი საკუთარ თავს კითხვა: ღირს კი ისეთ საქართველოში ცხოვრება, სადაც წამითაც არ დაფიქრდებიან, მცირედის გამო ისე გადაგთელავენ, არ დაგინდობენ, უკანასკნელი სიტყვებით გაგლანძღავენ, დაგთრგუნავენ......

მე დღეს „არჩევანში“ სრულიად უჩვეულო სიტუაციაში აღმოვჩნდი.

ხმამაღლა ვაცხადებ და კარგად მინდა გაიგოს, თუ აქამდე ვერ მიხვდნენ ამას, რომ არასდროს ვყოფილვარ და არც ვიქნები რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი და, მით უმეტეს, ვერავინ მნახავს რომელიმე მათგანის მხარდასაჭერ აქციაზე.

მე დღეს ერთი კონკრეტული ადამიანის გვერდში ვიდექი. ადამიანისა, რომელსაც ღრმად მწამს, რომ წრფელად უყვარს თავისი ქვეყანა და სურს მისი წარმატებული მომავალი. ეს კაცი მამაჩემია და ვისაც ჯერ კიდევ შერჩენია მშობლის პატივისცემის განცდა, მინდა ყველამ სალად აღიქვას ჩემი დღევანდელი ნაბიჯი!

უმორჩილესად გთხოვთ, გამოიჩინოთ კეთილგონიერება და აღარასოდეს გამოიმეტოთ ის შეურაცხმყოფელი სიტყვები, რომელიც ზოგიერთმა თქვენგანმა ასე უშურველად გამოიმეტა....

კიდევ ერთხელ გთხოვთ და ამჯერად უფრო კატეგორიულად მოვითხოვ: ნუ მისცემთ თავს უფლებას, ასე გამიმეტოთ და ჩემი ადამიანური ნაბიჯი პოლიტიკურად შერაცხოთ...

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

ხუთშაბათი
6 ოქტომბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 07.00 დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ეგვიპტე" 08.00 ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 12.20 მხ/ფ "**სიყვარული მოულოდნელად გეწვევა**" 15.00 "x სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. რა არის ამერიკის ქვეშ" 20.00 მოამბემოამბის სტუმარი 21.30 "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" 22.40 ფეხბურთი მსოფლიო 2018 **ირლანდია-საქართველო**. 00.40 საფეხბურთო მიმოხილვა 02.00 მხ/ფ "**მამა მია!**"

08.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანფიქრი" 09.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 მხ/ფ "**შეკლეტონი**" 2 ნაწ. 12.00 ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო" 20.00 "მოამბე" 21.00 "არჩევნები 2016 22.00, 01.10 ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

05.30 სერ. "**ბამბის ველი**" 06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 ს დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ "**ვირთხების რბოლა**" 02.00 მხ/ფ "**დარჩენილი დრო**" 03.30 მხ/ფ "**საჰარა**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**დედოფლის სევდა**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 22.00 არჩევანი - 2016 განსხვავებული აქცენტები 00.00 P.S. 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.15 სჯანი-ასტროლოგია 06.40 პატერიკი-განმენდილი სულის სხეულიდან გასვლა 06.50 დ/ფ "ცხრა კოლაელი ყრმა" 07.25 ქართული ალბომი 07.50 დ/ფ "ქართული ზარები" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**სიყვარული ყველას უნდა**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.00 დეკორატიული ფლორა "ჰელიკონია-სტრიქტა" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართ. ან/ფ 15.30 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 17.05 კონცერტი 17.35 ჩვენი ფონდი 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.20 დ/ფ 20.40 ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ლექციები მეფუტკრეობაზე 21.45 ამბიონილიტიის შემდგომი ლოცვები 22.20 ჩვენი საგანძური 22.40 ქრისტიანული სწავლება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.40 თბილისის ტაძრები "ზემო ბეთლემი" 00.25 ისტორიის დღიური 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.40, 2.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ტატიანა**" 10.05 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 11.05, 13.00 სერ. "**ვერონიკა**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.10 "ბიზნეს კონტაქტი" 14.05, 1.00 სერ. "**ორი გული**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.35, 2.00 სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" 19.05 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 19.45 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**გემი**" 21.40 "ღამის კონტაქტი" 22.55 "აკრედიტაციის გარეშე" 23.20 სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**6 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.3277 | ევრო — 2.6159 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9964 | 100 რუსული რუბლი — 3.7404 |

## ამინდის პროგნოზი 6 ოქტომბრისთვის





## 4 ოქტომბრიდან




## ღვინის დაგემოვნება

მაგარი ყდა
208 გვერდი
ფორმატი 17/22,5

„პრაქტიკული კურსი – ღვინის დაგემოვნება“ დაგეხმარებათ, აღმოაჩინოთ მსოფლიოს საუკეთესო ღვინოები; გაიგოთ, სურნელისა და არომატის როგორი ბუკეტი ახასიათებს ამა თუ იმ ღვინოს და რას ნიშნავს ღვინის სხეულიანობა, სიღრმე, სიხალასე თუ სისავსე.

აქვე ქართული ღვინოების შესახებაც იპოვით ინფორმაციას და წაიკითხავთ მსოფლიოში უნიკალური, ქვევრში ღვინის დაყენების ძველი ქართული მეთოდის შესახებ.

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**


# ჯანეტ ქერდიყოშვილი მილანში იცხოვრებს



მის საქართველო 2011 ჯანეტ ქერდიყოშვილი ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავიდა. ლამაზმანი საცხოვრებლად მილანში გადავიდა. მან მილანის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტში ჩააბარა. ამავე უნივერსიტეტში თავის დროზე დიზაინერობა ანუკი არეშიძემ შეისწავლა. ახლა კი ჯანეტის ჯერია.

**ჯანეტ ქერდიყოშვილი:**

– ახალი ცხოვრება, ახალი ნაბიჯები, ახალი გამოცდილება, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში.

პეტერბურგის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვოცნებობდი, რომ ევროპის წამყვანი მოდისა და დიზაინის სკოლაში ჩამებარებინა, რომელიც ისეთ ცნობილ ადამიანებს აქვთ დამთავრებული, როგორებიც არიან ფრანკო მოშინო, დომენიკო დოლჩე, სტეფანო გუერიერო, ალესანდრო დე ბენედეტი და სხვები.

მაგრამ მშობლებმა საქართველოში წამიყვანეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ვიმუშავე წამყვან არხზე ტელეწამყვანად და ახლობლების მხარდაჭერით გადავწყვიტე, წავსულიყავი მილანში და ამესრულებინა ჩემი დიდი ხნის ოცნება. მისურვეთ წარმატებები, ჩემო ძვირფასებო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ლიონელ მესი მანჩესტერ სიტისთან დაბრუნდება



მსოფლიოს 5 გზის საუკეთესო ფეხბურთელი ლიონელ მესი ტრავმირებულია და ექიმები ზუსტ პროგნოზს არ აკეთებენ მისი დაბრუნების შესახებ.

სავარაუდოდ, მესი 15 ოქტომბერს დეპორტივოსთან სათამაშოდ მზად იქნება, მაგრამ ლუის ენრიკე არ გარისკავს და ლეო მოედანს 19 ოქტომბერს მანჩესტერ სიტისთან შეხვედრაში დაუბრუნდება.

მესიმ ტრავმა ატლეტიკოსთან მატჩში მიიღო და ტრავმის გამო არგენტინის ნაკრების ორ შეხვედრას გამოტოვებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



ქართველი მატარებელში ავიდა, კუპეს კარს აღებს და ხედავს, სამი ზანგი ზის. სამივე შეათვალიერა და კითხულობს:

– რა, აქ ხანძარი იყო?

•••

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, ჩემთვის დალევა შეიძლება?

– რა დალევა?!

– მომავალში?

– რომელ მომავალში?!!!

•••

ბიჭი გოგოს შეხვდა და მცირე დაკვირვების შემდეგ ეკითხება:

– გუშინ საღამოს თქვენ ცეკვავდით მაგიდაზე საცვლების ამარა?

– როგორც ჩანს, თქვენ ადრე წახვედით.

•••

პოლიციელმა სტუდენტი გააჩერა და საბუთების წარდგენა მოსთხოვა.

– პოო, ე.ი. არ ვმუშაობთ...

– დიახ, არ ვმუშაობთ.

– პოო, სახელმწიფო ფულს ვჭამთ, ასეა ხომ?...

– დიახ, მასეა.

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– წავიკითხე, რომ თურმე 12 საშუალება არსებობს, რომ მამაკაცს ფეხმძიმობის თაობაზე აცნობო.

– ეს ერთ-ერთი იმათგანია?

•••

ბავშვი დედას ეუბნება:

– დედა, მალე სკოლაში მშობელთა კრება შედგება და მინდა გაგაფრთხილო, რომ ჩემზე ინფორმაციული შეტევა მზადდება.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, მიკვირს, როგორ ითმენ შენ ცოლს? ის ხომ სულ გებუზღუნება, სულ გსაყვედურობს, ყოველ წვრილმანზე ჩხუბობს და, საერთოდ, როდესმე თუ არის კარგ განწყობაზე?

– ღმერთმა ნუ ქნას! კარგ განწყობაზე სიმღერას იწყებს!

•••

მეტროში ქალის კივილის ხმა ისმის:

– პოლიცია, პოლიცია!

– რაშია ქალბატონო საქმე? – ეკითხება პოლიციელი.

– საფულე ამომაცალეს.

– სად გედოთ საფულე?

– ლიფში.

– კი მაგრამ, ხელს რომ გიყოფდათ, ვერ იგრძენით?

– როგორ არა, მაგრამ მეგონა, ამას კეთილი განზრახვით აკეთებდა!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 6 ოქტომბრიდან

### ჩემი პირველი სიტყვები
### ჩემი დღე

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**







## 7 ოქტომბრიდან

### ქართული ხალხური ზღაპრები

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

**მაგარი ყდა, ფერადი გვერდები**


# გვარდიოლამ მანჩესტერ სიტის ბაზაზე ინტერნეტი გათიშა



მანჩესტერ სიტის არგენტინელმა მცველმა პაბლო საბალეტამ გვარდიოლა სამწვრთნელო მეთოდებზე ისაუბრა და საკმაოდ საინტერესო რამ თქვა.

გვარდიოლა ყოველი ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელებთან ერთად სადილობს. გარდა ამისა, ბაზაზე ყოფნის დროს ფეხბურთელებს სოციალური ქსელებით გართობა ეკრძალებათ, რისთვისაც გვარდიოლამ ბაზაზე ინტერნეტი გათიშა.

საბალეტას თავისი მწვრთნელის მეთოდები მოსწონს და ამბობს, რომ ფეხბურთელები თავის საქმეზე უფრო კონცენტრირებულნი ხდებიან მაშინ, როდესაც სხვა რამეზე არ ფიქრობენ.

არგენტინელმა მცველმა დაამატა, რომ გვარდიოლა მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელია და ფეხბურთელები მის გადაწყვეტილებებს პატივს სცემენ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პოლიციელთა მეტსახელი ინგლისში; 2. უბანი თბილისში; 3. ლითონის ბაგირი გემზე; 5. ძვირფასთვლიანი ქალის სამკაული; 6. სახელმწიფო სკანდინავიაში; 8. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსარკვევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 10. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი; 12. ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 14. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 15. ფილიპინების დედაქალაქი; 16. მინერალური წყალი სამეგრელოში.

**თარაზულად:** 1. მე-18 საუკუნის ქართველი პოეტი, დიპლომატი; 4. თიხის ფლეიტა; 7. აგავისგან დამზადებული მექსიკური არაყი; 9. თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის ხალხი; 11. მოქმედების უნარი, მხნეობა, ძალღონე; 12. პირობითი სასჯელი; 13. კომბინაცია პრეფერანსში; 17. მომღერალთა გუნდი; 18. მოძღვარი, დამრიგებელი ინდოეთში; 19. კბილების ავადმყოფური კრაჭუნი ძილში; 20. გეომეტრიული ფიგურა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**





ლურჯი წითელი ყვითელი შავი